# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
საპარტიო დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ. მე-4 გვერდზე—15 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „საქართველო" ქალაქს და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი მეექვსე. | პარასკევი, ქრისტეშობისთვე 10. 1920 | № 170



მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი

გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა

ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.



ღრმად დამწუხრებული ვერა ნიკოლოზის ასული გედევანიშვილი შვილებით: ტასიკო, რეზო, ნინა და ქეთინოთი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ და დაუვიწყარ მეუღლის და მამის უდროოდ გარდაცვალებას

მიხეილ ნიკოლოზის ძის

## გედევანიშვილის

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. საკუთარ ბინაზე, ჩერქეზიშვილის ქუჩა, სახლი 12. გამოსვენება ბინიდან პარასკევს 10 დეკემბერს დილის 10 საათზე. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს კუკიის სასაფლაოზე. 2—3328—1.

ქვრივი ანა მერაბის ასული, შვილები: ლიუბა, ივანე, პავლე, დიმიტრი და ნიკოლოზ, რძლები: ცაცა, ანა და შუშანა შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 12 დეკემბერს (ძ. სტილ.), დილის 12 საათზედ ქ. ქუთაისში, საკათედრო ტაძარში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

ნიკოლოზ ბესარიონის ძე

## უზნაძის

სულის მოსახსენებლად.

ალექსანდრე, ბიქტორი, ილია, დავითი, კონსტანტინე, ედუსი, ჯასასი, მარიამი, აგრაფინა და ეკატერინე სამსონის ძენი და ასულნი ასათიანები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ბიძაშვილის

არსენ ქელეშბეგის ძის

## გარდაფხაძის

გარდაცვალებას.
ცხედრის გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან სადგურზე ლეჩხუმში, სოფ. ბარდნალას, დასაკრძალავად კვირას 12 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები პეტრე გიორგის ძე და ოლღა ივანეს ასული, ალექსანდრე მეუღლით, ქეთევანი წულუკიძენი; ელენე და ალექსანდრე ფაღავა პატარა თეიმურაზით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი შვილის, ძმის და ბიძის

ივანე (ვანიჩკა) პეტრეს ძე

## წულუკიძის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში დღეს 10 ქრისტეშობისთვეს დღის 3 საათზე.
1—3338—1.



მწერალთა კავშირის ინიციატივით ამ დღეებში

## გრიგოლ რობაქიძე / ...ოწია მამსახურდია

წაიკითხავს ტფილისში

✦ ✦ ✦ ✦ მოხსენებას

თანამედროვე გერმანია პოლიტიკისა

✖✖ და კულტურის პრობლემები ✖✖

...რო და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.



## გაზ. „საქართველო"-ს

აგენტების საყურადღებოდ

თელავი, გორი, ფოთი, ბათომი, სამტრედია.

გაზ. „საქართველო"-ს კონტორა კატეგორიულად აცხადებს, რომ ყველა იმ აგენტებმა, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მიღებულ გაზეთების ანგარიში, რომელთაც არ დაუბრუნებიათ დარჩენილი გაზეთები, აცნობონ ამის შესახებ დაწვრილებით კონტორას და გაასწორონ ანგარიშები:

წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები აღარ გაეგზავნება.



სახელმწ. თეატრი

## ოპერა

პარასკევს, 10 დეკემბერს

**აბესალომ და ეთერი**

შაბათს 11 დეკემბერს

**მუშებისთვის**

ბალეტის სპექტაკლი მორდკინისა

**„კოპელია"**

კვირას, 12 დეკემბერს ქართულ ენაზე

**ლალატი**

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

შაბათს, დეკემბრის 11-ს მეორედ

**ბერდო-ზმანია**

ალ. შანშიაშვილისა

დეკორაციები და ტანისამოსი ვალ. სიდამონ ერისთავისა

მუსიკა დ. არაყიშვილის ბალეტი და ხორო. რეჟისორი ალ. ახმეტელი.

კვირას, დეკემბრის 12-ს

**გვარდიის საღამო**

4 დეკემბრის წარმოდგენისათვის („ბერდო-ზმანია) აღებული ბილეთები გამოდგება 9 დეკემბრის წარმოდგენისათვის.


## განცხადება

### შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდის

იმ მუშის და მოსამსახურის დამქირავებლები, რომლებიც ღებულობენ მუშათა მაგიდიდან სურსათ სანოვაგეს, ვალდებულნი არიან 15 ამა დეკემბრამდე შეიტანონ დეფიციტის დასაფარავად 5000 მან. თვითეულ მუშა მოსამსახურეზე.

თავის დროზე ფულის შეუტანლობა გამოიწვევს მაგიდიდან სურსათ-სანოვაგის მიღების შეწყვეტას.

ფული მიიღება მუშათა მაგიდის სალაროში (კირკის ქ., ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების შენობაში) ყოველ დღე დილის 9 საათ. შუადღის 3 საათამდე.

შრომის სამინისტროს საქმეთა მმართველი ი. გოლდმანი.
მუშათა მაგიდის გამგე ვ. ფერაძე.

## განცხადება

მონდობილობისამებრ და თანახმად წესებისა, რომელიც მოყვანილია 59 და 60 მუხ. 11 ტ. 2 ნაწ. სავაჭრო დებულებისა, საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ საამხანაგო ხელშეკრულების ძალით, რომელიც დამოწმებულია ჩემ მიერ ამა წლის ნოემბრის 26-ს რეესტრის № 400, დაარსდა ქ. ზესტაფონში სავაჭრო ნდობის ამხანაგობა „ენდე", რომლის პასუხისმგებელ—გამგე ამხანაგებად არიან: სამსონ პეტრესძე მამალაძე, ალექსადრე ლეონტისძე შალამბერიძე, ლასო ანდრიასძე ნიორაძე, პლატონ ელიაზარისძე საყვარელიძე, სერგო ალექსისძე კვანტრიშვილი, ივანე იორდანესძე ცერცვაძე და ერმინე ივანესძე თაბაგარი და სხვები კი ფულის შემტანნი. ამხანაგობის საქმეებს განაგებენ პასუხისმგებელი—გამგე ამხანაგები, რომელთაც აქვსთ უფლება მოაწერონ ხელი ყოველ გვარ აქტებზე და თამასუქებზე.

ზესტაფონის ნოტარიუსი მიხ. გვარამია.


## „სორაპანის" გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ 1921 წ.

## „კალენდრები"

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

1) კედლის კალენდარი.
2) ჯიბის კალენდარი
3) მოძრავი კალენდარი ქართულ-რუსული
4) თვიური კალენდარი ქართულ-რუსული

ყდები დაბეჭდილია წითელი საღებავით მისამართი თბილისი სტამბა „სორაპანი" მ. გაჩეჩილაძე. 8—3 2295



შინა-მრეწველობის განყოფილება ეძებს

## ინსტრუქტორ-მოხელეს

კალათების საწნავ და ბამბუკის დასამუშავებელ სახელოსნოს ხელმძღვანელად, რომელიც იმყოფება მუშტაიდის ბაღში. თხოვნა მიიღება განყოფილებაში იქვე 9—3 ს.
3332—2—1.

## ვაძლევ

ფრანგულ ენის გაკვეთილებს თეორია და პრაქტიკა

(დიპლომი პარიზის უნივერსიტეტისა სორბონის.) ვამზადებ აგრეთვე გერმანულში და იტალიურ ენებში. სასამართლოს ქუჩა № 38. მეორე ეზო. ჰკითხეთ მეეზოვეს. ნახვა შეიძლება საათის 4 და 4 ნახევარზე.

გამოცდილი რეპეტიტორი სტუდენტი

## იღებს გაკვეთილებს

სასურველია დილის საათები

მისამართი ეროვნ. დემოკრ. ბიურო (სასახლ. ქ. № 5)

ტელეფ. № 3-02 გამოელაპარაკეთ 10-2 საათამდე.


## შრომის ბეგარა.

თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება და ურთიერთობა იმ გეზით მიმდინარეობს, რომელსაც პიროვნების თავისუფლება შესაძლებელ მაქსიმუმამდე ჰყავს აყვანილი. ეს საერთო დებულება უდავოდ ითვლება ყველა კულტურულ პოლიტიკურ ერთეულებში. სახელმწიფოს კანონმდებლობა მოქმედებს იმგვარად, რომ მორიდებულ იქმნეს დაპირისპირება პიროვნებასა და კოლლექტივს შორის და დამყარდეს შეთანხმება, ჰარმონია, ასე ვსთქვათ, „მე"-სა და „ჩვენ"-ს შორის:

ინდივიდუალური თავისუფლება უმთავრესი ღერძია კულტურისა, პროგრესსისა... თავისუფალი პიროვნება ნორმალურ განვითარების და სახელმწიფო სოციალურ გაუმჯობესების საუკეთესო რეგულიატორია. მაშასადამე, სახელმწიფოებრივი ზომებიც ყველა დარგში პიროვნებასა და კოლექტივს უნდა ათანხმებდეს, სპობდეს კონფლიქტებს და არიგებდეს.

ამ ზემონათქვამ ტენდენციას საზოგადოებრივ ცხოვრებისას სასტიკად წინაალუდგა ბოლშევიკური რუსეთი, რომელმაც სავსებით მოსპო ეგრედ წოდებული „პიროვნების კულტი" და რუსეთის მთელს სოციალურ ცხოვრებას მისცა ყაზარმული ელფერი.

საქართველო უკანასკნელ დრომდე აშკარად მაინც არ იზიარებდა კომუნისტურ რუსეთის სოციალურ მეთოდებს და თავის სახელმწიფოებრივ პოლიტიკით ვითომდა უფრო უახლოვდებოდა ევროპის განათლებულ სახელმწიფოებს. პიროვნების თავისუფლება აქაც პატივცემული და დაცული იყო, შედარებით მაინც.

ბოლო დღეებში ჩვენს ირგვლივ პოლიტიკური კონიუნქტურა თვალსაჩინოდ შეიცვალა: ბოლშევიზმი გეოგრაფიულად დაგვიახლოვდა, არსებითად „დაგვიმეგობრდა". ხმელეთის საზღვრებს მიადგა „სოციალურ ნიველირიოვკის" ავტორი...

დამცინავ ბედმა ინება, რომ ბოლშევიზმის ამუშავების დროს ჩვენს რესპუბლიკას მიემართოს სწორედ ბოლშევიკურ ზომებისაკენ: სხვანაირად შეუძლებელია გაგება სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ბრძანებისა (?, იძულებითი შრომის ბეგარის შემოღების შესახებ.

ერთი რამ ცხადია: სახელმწიფოს ინტერესი ხშირად მოითხოვს თვითეულ მოქალაქისაგან მსხვერპლის გაღებას საერთო საქმისათვის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც შექმნილი პირობები საშიშროებაში აყენებს სახელმწიფოს და მთელი ხალხის ფიზიკურ არსებობას. ამ შემთხვევაში ვერც ერთი პიროვნება ვერ ასცდება საზოგადოებრივ სამსახურს: თავისუფალ პიროვნების ნაცვლად ჩვენ გვევლინება პიროვნება თვითნები, გამოუსადეგარი საზოგადოებრივ ურთიერთობისათვის. პარაზიტი არც თვითონ არის თავისუფალი და თავისი მდგომარეობით სხვების თავისუფლებასაც ჰზღუდავს...

სახელმწიფოებრივი აქტების წინაშე მხედრები შეუწყნარებელია, თუ მათში არის მიზანშეწონილობა და მათი გამოცემა დაქვემდებარებულია მიღებულ წესებზე.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ბრძანება 8 ქრისტეშობისთვის თარიღით მიუღებელია სწორედ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით! განვიხილოთ ეს ბრძანება ჯერ ფორმალურად: გვარდიის შტაბის თაოსნობით რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დაუდგენია „პრაქტიკული განხორციელება ამ გეგმისა" მიენდოს გვარდიის მთავარ შტაბს. ყველა სხვა მოსაზრებებს რომ თავი დავანებოთ, ერთი რამ აშკარა რჩება: სახელმწიფოებრივ აპარატს ამ შემთხვევაში არავინ დაჰკითხებია! ისეთი დიდი მნიშვნელობის აქტის შემოღება, როგორიც არის საყოველთაო შრომის ბეგარის დაწესება, მოითხოვს დიდ განსჯას და განზომვას იმ დაწესებულებების მიერ, რომელთა პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს ზრუნვა ამგვარ საგნებზე. ესეც არ არის საკმარისი: ასეთს ექსტრაორდინალურ ღონისძიებას, თუ იგი მაინცა და მაინც საჭირო იქნებოდა, სათავეში უნდა ჩასდგომოდა თვით დამფუძნებელი კრება, რომელიც ამა თუ იმ სახით დააკანონებდა ამ სახელმწიფოებრივ ღონისძიებას და მაშინ, შესაძლებელია, უფრო საქმიანი და შესმენილი ადამიანები მიეყენებინათ მის განსახორციელებლად. ვერ იქნა და ვერ ჩადგა სახალხო გვარდია თავის კალაპოტში: ის ყველაფერში ერევა და თავისებურ უნივერსალობას იჩენს. სახელმწიფოში არ უნდა არსებობდეს ისეთი დაკანონებული ორგანიზაცია, რომლის პირდაპირი დანიშნულება ბუნდოვანია და რომელიც ამის გამო ხშირად მიუკუთვნებელ ფუნქციებს ითვისებს.

ვიცით ამ თავითვე, რომ ეს ახირე-

# დღეს:

საბერძნეთის მთავრობა ცდილობს მეფე კონსტანტინეს ტახტზე უარი ათქმევინოს.

საბჭოთა რუსეთში ქრონიკული სიმშილია.

გენ. ვრანგელმა თავისი თავი სამუდამოდ დამარცხებულად აღიარა.

ჩინელებსა და რუსეთის თეთრ გვარდიელების შორის შეტაკება მოხდა.

გერმანეთსა და პოლონეთს შორის კონფლიქტი თანდათან იზრდება.

**წ ე რ ი ლ ე ბ ი**

მეთაური: შრომის ბეგარა.

პრესსა

ბული ზომა მიზანს ვერ მიაღწევს! თერთმეტ პუნქტში გაბნეული დადგენილებები იმის მეტს არაფერს იძლევა, რომ მობილიზაციით გაწვეულებს ტყეებში სამუშაოდ ამზადებს შეშის საჭრელად. შრომის დაბეგვრისათვის ბევრგან მიუმართავთ, მაგრამ არა გვგონია სადმე ერთს ქვეყანაში ჩაემწყვდიოთ მობილიზაციის წესით გაწვეულნი და ყველას ხელში ათლევინონ. ჩვენ გვესმის იძულებითი შრომა, მაგრამ შრომის პირობები უნდა ეგუებოდეს გაწვეულის სპეციალობას. შეიძლება ინტელიგენტ უმუშევარს მაინცა და მაინც ჯოხები ვაჭრევინოთ? ჯერ ერთი უმუშევრობა მუდამ არ ჰნიშნავს პარაზიტობას. ამას უნდა გარჩევა. დღევანდელს პირობებში ბევრი გულმოდგინე, მუყაითი და საზოგადოებრივად მომზადებული პიროვნება ჩამოშორებულია აქტიურ ასპარეზს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ის უსაქმოა, ან პარაზიტი. და თუ სახელმწიფოს მისი შრომა უნდა გამოიყენოს სასარგებლოდ, მისთვის სასურველია გაწვეული ამუშაოს მისი მომზადებისა და უნარის მიხედვით. საბჭოთა კომისია, რომელსაც ზაქარია გურული თავმჯდომარეობს, ბევრ დაბრკოლებას წააწყდება სახალხო გვარდიის განზრახვის პრაქტიკულად გატარებაში, თუმცა გამოცხადებული წესები ჯერჯერობით შეშის დაჭრის მეტს არაფერს ჰგულისხმობენ. რომელიმე უმუშევარი ჟურნალისტი, ან ვექილი ტყეში უნდა გაჰგზავნონ სამუშაოდ. ეს იმას ჰგავს, ჩვენ რომ ზაქარია გურულს დავაკისროთ ვიქტორ ლოგორითმების გამოანგარიშება და სანამ დაკისრებულს არ შეასრულებს ოთახიდან გარეთ არ გამოვუშვათ! ხომ ჩალპა გურული ოთახში! შეშის დამზადებას უფრო ორგანიზაციულად მოწყობილი დაწესებულებები ჰპირდებოდნენ სახელმწიფოს, მაგრამ ყველამ იცის, რითი დამთავრდა მათი მკვეხარა დაპირება! ასე იქნება ეხლაც და, თუ ზაქარია გურულის კომისიამ მაინც მოახერხა მთელს რესპუბლიკაში რამდენიმე ასი „პარაზიტის" თავმოყრა ტყეში გასაყვანად, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ მათი დამზადებული შეშით გაყინული თბილისი ვერ მოთბება...

საქართველო და თბილისი კერძოდ, მართალია, მეტის მეტად გაიტენა უსაქმო და მოხეტიალე პირებით, რომელნიც მეტ ზარგად დააწვნენ ჩვენს რესპუბლიკის სუსტ სახსრებს, მაგრამ ფრთად საეჭვოა, რომ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის, ან მისი სპეციალური კომისიის ღონისძიებამ ამ მხრით სასურველი შედეგი მოგვცეს. ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც პირველად აღიძრა საკითხი ჩვენი სატახტო ქალაქის გაწმენდის შესახებ, ჩვენ გამოვთქვამდით იმ აზრს, რომ ვერავითარი ზომა უცხო მავნე ელემენტების განსადევნელად განზრახული ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს, უკეთუ პარალელურად არ მივმართეთ სხვა ზომებსაც და პირველ ყოვლისა არ მივხურეთ მტკიცედ საქართველოს გაფართოებული ალაყაფი. ჩვენ დავინახეთ, რომ ის ზომაც „მკვდრადშობილი" გამოდგა და იმ დროს აქეთ არამც თუ ბევრი გასულა ჩვენს საზღვრებიდან, პირიქით ათი იმდენი ახალი გვეწვია სხვა და სხვა გზით და საშუალებით.

ეხლა ვდამობთ ყველა ეს მუქთახორები ჩვენდა სასარგებლოდ ავამუშაოთ და იმ ორგანიზაციისა და პირების საშუალებით, რომელნიც ყველაზე ნაკლებ ამ საქმისათვის არიან გამოსადეგნი.

„შრომის ბეგარა" პირველ ყოვლისა ეკონომიური მცნებაა. მისი დაწესება ხანგრძლივ მუშაობას ითხოვს სათანადო დაწესებულებისაგან, შესწავლას და ... ... .

ნაცვლ თუ ეს ზომა სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. სახალხო გვარდიის შტაბი ვერ მოერევა იმ სახელმწიფოებრივ ზომას, რომლის განხორციელება დღევანდელს გართულებულ პირობებში, სხვა რომ არა ვთქვათ, სათანადო მომზადების პირებს მოქმედებას ითხოვს.

საექსპერიმენტო მოღვაწეობამ უკიდურესად მოღუნა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი და დაზიანებული აპარატი.

სახელმწიფოებრივ შემოქმედების უნარს მოკლებული ადამიანები იძლევიან კიდევ ერთ აქტს, რომელიც ეხლავე შეიძლება განწირულად ჩაითვალოს...

## პრესსა

### არასოციალისტურ პარტიათა შეთანხმებისათვის.

ამ სათაურით გაზ. „მეწ" გუშინდელ №-ში სწერს:

„საქართველოს საშინაო მწვავე კრიზისი და საგარეო საერთაშორისო პირობების გართულება მოითხოვს განსაკუთრებულ სიმტკიცეს და სიძლიერეს ეროვნულ, ესე იგი არასოციალისტურ ძალების მხრივ.

ერთი მთლიანი ეროვნული ფრონტის შექმნა კი მოითხოვს ცალკეულ მომქმედთ არასოციალისტურ პარტიათა შეთანხმებას.

ჩვენი და რადიკალ-დემოკრატიული პარტია უკვე შეთანხმდნენ ამ საკითხის შესახებ.

ეხლა სდგება საკითხი აგრეთვე ეროვნულ დემოკრატიულ პარტიასთან შეთანხმებისა, რის შესახებ განსაკუთრებულ თაოსნობას იჩენდენ ყოველთვის პროვინციალური ორგანიზაციები.

ჩვენი შეხედულება ამ საგანზე მარტივია: ყველა არასოციალისტურ პარტიათა იდეური, პრაქტიკული და ორგანიზაციული გაერთიანება საჭიროა და შესაძლებელიც არის და ამის შესახებ სათანადო ნაბიჯები ორივე მხრივ გადადგმულიც არის.

ამ გაერთიანებას დიდი მნიშვნელობა ექნება, რასაკვირველია, მომავალ საერობო, საქალაქო და საპარლამენტო არჩევნებში მთელი არასოციალისტური დემოკრატიის გასაერთიანებლად სოციალისტების წინააღმდეგ".

## სტამბოლის ცნობები.

— ვენიზელოსის მომხრე ბერძნების გადმოცემით მოკავშირენი ოსმალებს პირდებიან უკიდურეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ოღონდ ის ბოლშევიკურ რუსეთს ჩამოშორდეს.

— სტამბოლში ბინის საშინელი კრიზისია. ყირიმის გაქცეულები ქალი და ბავშვები ... ყრიან, ხშირია ქ... სიკვდილი.

— სტამბოლიდან ანგორამდე სატელეგრაფო მავთული გააწყვეს.

# უცხოეთში

## კომერციული ცნობები საფრანგეთიდან.

**მ ი მ ო ს ვ ლ ა.**

მიმოსვლის გასაუმჯობესებლად საფრანგეთში ხდება ადმინისტრაციათა შეერთება ყველა რკინის გზებისა, როგორც სახელმწიფოსა, ისე კერძოთაც.

თუმცა ნაციონალიზაციის პრინციპი ერთხმად უარჰყვეს, მაგრამ იდეა ყველა რკინის გზების ექსპლოატაციის გაერთიანებისა ერთ მთლიან ორგანოში, მაინც იმარჯვებს.

ამ საგანზე მომხსენებლად გამოვიდა შრომის კომისიის სახელით ჰანრი ლორენი. ყველა არსებულ შტოებს დაშთებათ თავიანთი კერძო ავტონომიური აპარატი, მაგრამ მთელი მიმოსვლის გეგმა შეფარდებული იქნება ცენტრალურ მმართველ ორგანოს ხელმძღვანელობასთან, რომელიც მთელს საფრანგეთს ჰგულისხმობს, როგორც ერთ მთლიან ასპარეზს შეუფერხებელ მიმოსვლისათვის.

ფიქრობენ, რომ მთელი რკინის გზის ქსელის ექსპლოატაცია საუცხოვოთ გაუმჯობესდება ამ მოკლე ხანში.

**პ უ რ ი.**

პურის ფასი 8 ნოემბერს ეცემოდა პარიზის ცნობით, იგი ნიუ-იორკში ადგილზე დაეცა 8 და ნახევარი ცენტით, სიმინდი 2 და მეოთხედი ცენტით.

ჩიკაგოში პურის ფასი დაეცა 8 და ნახევარი ცენტით, სიმინდისა 2 ცენტით.

**შ ა ქ ა რ ი.**

შაქარიც ეცემა ფასებში, როგორც პარიზში, ადგილზე ნაყიდი, ისე გამოწერილი ნიუიორკიდან.

რადგანაც თავიდანვეა ცნობა, რომ ავსტრალია აძლევს ინგლისს პურს 10 ცენტით, უფრო იაფად, ვიდრე ამერიკა. ჩიკაგოში 5 ნოემბერს პურის ფასი დაეცა 2 ცენტით. პურის ფასის დაცემა გრძელდება.

ბაზრობის ბოლოს ფასის დაცემა უდრიდა 2-ნახევარ ცენტს. პური ღირდა (ხორბალი) ასი კილო 116 ფრ. 49 სანტ. დაცემულია 5 ფრ. და 77 სანტიმით. სიმინდი ღირდა 100 კილო 53 ფრ. და 83 სანტ. დაცემულია ერთი ფრ. და 46 სანტ. 6 ნოემბერს პარიზში საწყობებში იყო 148.477 ტომარა შაქარი. წინეზე შედარებით შაქრის რაოდენობა გადიდებულია 13.040 ტომრით,

ლონდონში შაქარი ჰოლის ფხვნილი და ნატეხი 98 შილ.—96 შილ. კილოვატი. ინდოეთის შაქარი—80—83 შილ., ამერიკული ფხვნილი 95 შილ. (ბ—ჟი თურთ).

**ზეთეულობა.**

მარსელში ბაზარი დაეცა. ფასები ცუდია. მყიდველიც იშვიათია. გაფიცვა ზეთეულობის ქარხნებში ხელს უწყობს ძველი მარაგის განაღდებას, ბაზარი რომ ცოცხალი იყოს.

ღვინის ბაზარიც არაა ცოცხალი; მყიდველები უგულოთ ეკიდებიან ამ საქმეს.

კარტოფილი ?ეზანსონში (საფრანგეთი) 100 კილო ღირს 26 ფრ.

ბრინჯი ღირს 140—160 ფრან. ხარისხის მიხედვით. გასავალი ცუდი აქვს.

ჩაის ფასები როტერდამში ეცემა. მყიდველი იშვიათია. ჩაის ფასი მატულობს ლონდონში—ერთ ნახ.—1 პენით გირვანქაზე, თუმცა ეცემოდა 2 ნოემბერს.

(ბაზრისა, ბირჟის—ბიულეტენები 8 ნოემბერს.)

# დეპეშები

## ს. დ. ს. ს. მინ. ცნობები.

### ანტიბოლშევიკური ფრონტი.

სტამბოლი ადგილობრივი პრესა იუწყება: გენ. ვრანგელმა გამოსცა ბრძანება, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთის ანტიბოლშევიკური მთავრობის მომავალი მუშაობა არის მთავარი შტაბისა და ფლოტის უფროსთა საფინანსო განყოფილებისა, ლტოლვილთა დამხმარე და საგარეო დამოკიდებულების განყოფილებათა ხელში. ლტოლვილთა დამხმარე განყოფილების გამგეთ დაინიშნა გირსი. საგარეო დამოკიდებულების განყოფილების გამგეთ დაინიშნა სტრუვე, რომელიც ვრანგელის საგანგებო მინდობილებით სასწრაფოდ პარიზს გაემგზავრა. სტრუვესთან იმყოფება ბერნაცკი.

### რატომ დამარცხდა ვრანგელი?

„სტამბოლი" იუწყება: კრეისერ „კორნილოვზე" გამოკრულია გენ. ვრანგელის შემდეგი ბრძანება: „იმ მძიმე მდგომარეობამ, რომელში იმყოფებოდა ნოემბრის შუა-რიცხვებში რუსეთის ჯარი, მაიძულა მე დამეტოვებია ყირიმი, რათა ამ გვარათ თავიდან აგვეცილებია ის საფრთხე, რომელიც მოელოდა ჩვენს ... ჯარს შემომტევ მოწინააღმდეგესთან უთანასწორო ბრძოლაში. მუშაობა და პასუხის მგებლობა, რომელიც შეკავშირებული იყო ამ ოპერაციასთან თავს დააწვა ჩვენს სახელოვან ფლოტს, რომელმაც ყირიმში ჩვენს ჯართან ერთად გადაიტანა დაღლილობა და მიიტანა მსხვერპლი. შემოდგომის ქარიშხალთა დაწყების შესაძლებლობამ კიდევ უფრო გააძნელა რუსეთის ფლოტის ამოცანას შესრულება, მით უმეტეს, რომ 120000 სამხედრო და სამოქალაქო პირმა, ქალმა და ბავშმა, მიხედავათ ჩემი გაფრთხილებისა, რომ მათ დიდი ტანჯვა-წვალება მოელით, არ მოისურვა დამორჩილებოდა წითელ რეჟიმს და მან გაურკვეველი მომავალი არჩია."

ფლოტის თავდადებულმა მუშაობამ უზრუნველ ჰყო მსურველთა გადმოყვანის საქმე. მოკრებილ იქმნა ყველა სატრანსპორტო საშუალება.

დაიძრა არა მარტო დიდი ორთქმავლები, არამედ ბუქსირიანი გემები. სამხედრო გემთა თავდაცვით რუსეთის გემებმა ერთი მეორეზე დასტოვეს მშობლიური ნავთ-სადგურები და სრულის წეს-რიგით გამოემართნენ ბოსფორის ნაპირებისაკენ ჩვენს წინაშე არის ისტორიაში უცნობი სანახაობა: სტამბოლის ნავთ-სადგურში დგას 100 რუსული გემზე მეტი, რომლებზედაც ათასობით იმყოფება რუსი პატრიოტები.. ათასობით გადარჩენილია ხალხი, რომელიც მზად არის საქტიკად შეებრძოლოს ბოლშევიკებს. რუსეთის ფლოტმა სახელოვან ვიცე-ადმირალ კედროვის მეთაურობით შეასრულა დიდი ამოცანა. ვთხოვ ვიცე-ადმირალ კედროვსა და მთელ ფლოტს მიიღოს ჩემი გულითადი სალამი იმ თავდადებული მუშაობისათვის, რომელმაც კიდევ ერთხელ დაფარა დიდებით რუსეთის დროშა. სულით და გულით მადლობას უძღვნი ყველა სავაჭრო-გემის შემადგენლობას, რომელთაც თავის თავდადებული მუშაობით ხელი შეუწყვეს ჯარისა და მცხოვრებლების ევაკუაციას ყირიმიდან.

### საქართველოში მყოფი ს. ფ. ს. რ. ბეჭდვითი ბიუროს ცნობა.

### პური სომხეთისათვის

ბაქო. 8 დეკემბერი. წითელმა მეთერთმეტე არმიამ დაამზადა სამარშრუტო მატარებელი 40 ვაგონით დატვირთული პურით საბჭოთა სომხეთისათვის. მატარებელი გამგზავრებულ იქნება იმის შემდეგ, როცა მოვა თანხმობა საქართველოს მთავრობისაგან პურის გატარების შესახებ საქართველოს გზებზე.

### სპარსეთში.

ბაქო 8 ნოემბერი. მიუხედავათ ინგლისელთა რწმუნების სპარსეთის ერი კომუნისტებს მისდევს. ქურთები კუჩუკ ხანს სცილდებიან და ბოლშევიკებთან ერთად აწარმოებენ ბრძოლას ინგლისელთა წინააღმდეგ. თეირანიდან დაბრუნებისას, ხამადანის და ყაზვინის გლეხები არ აწვდიდენ ინგლისელებს სურსათს და ხშირად სროლით უმასპინძლდებოდნენ.

# ფრანგული ცნობები

## გერმანია და ანტანტი.

თანახმად ინგლისის სტატისტიკურ არა ოფიციალურ ცნობებისა გერმანიის განიარაღების შესახებ, გერმანიას მოკავშირეთათვის შემდეგი სამხედრო მასალა გადაუცია: 30,500 ზარბაზანი, რომელთაგანაც 7,650 უკვე გააფუჭეს; 6,100 მიწურის მარტირი, რომელთაგანაც გააფუჭეს 5,800; 63,100 ტყვიისმფრქვეველი, რომელთაგ ნაც გააფუჭეს 48,400; 2.524,400 ვინტოვკა, რომელთაგანაც გააფუჭეს 2.206,400; 405 მილიონი პატრონა, რომელთაგანაც გააფუჭეს 170 მილიონი; 32 მილიონი ყუმბარა, რომელთაგანაც გააფუჭეს 18 მილიონი. უკანასკნელ ხუთი თვის განმავლობაში მოკავშირეებმა 11 ათასი ზარბაზანი გაანადგურეს. გაანადგურეს აგრეთვე ის ზარბაზნებიც, რომლებსაც ქარხნებში ამზადებდენ.

## მილიერანი ვერდენში.

მილიერანი შეერთებულ შტატების ელჩისა, მარშალ ფოშისა, ჟოფრისა და მინისტრების თანხლებით გაემგზავრა ვერდენში ძეგლის გახსნაზე დასასწრებლად.

## გერმანია და ჰოლანდია.

თანახმად ბერლინიდან მოსულ ცნობებისა გერმანიის მთავრობამ აცნობა ჰოლანდიის მთავრობას, რომ იგი მზად არის მოახდინოს რატიფიკაცია გერმანო-ჰოლანდიის ფინანსიურ და (დამაბინძურებელი) კონვენციისა.

ოპელნიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა კომისიამ მოიწონა კონვენცია ზედმეტ მუშაობის შესახებ, რომელსაც აწარმოებენ მუშები ზემო სილეზიის ქვა ნახშირის მაღაროებში.

## მოსამსახურეთა მდგომარეობა.

თანახმად ბერლინიდან მოსულ ცნობებისა მოსამსახურეთა შორის ერთგვარ მღელვარებას აქვს ადგილი. მღელვარება გამოწვეულია მით, რომ მთავრობას არ სურს დათანხმდეს ჯამაგირების საგრძნობ მომატებაზე, რასაც მოსამსახურეები თხოულობენ. განსაკუთრებული უკმაყოფილება არის გამეფებული რკინის გზელთა და პატარა მოხელეების შორის.

## გაფიცვები იტალიაში.

რომი. ელექტრონის სადგურებზე მოსამსახურეების გაფიცვა გრძელდება, მაგრამ ქარხნები ვანაგრძობენ მუშაობას. საზღვაო საინჟინერო ძალების მიერ აღმოჩენილ დახმარების საშუალებით ტრამვაის განათება და მოძრაობა უზრუნველყოფილია.

— ჩეხო სლოვაკიის ეროვნულ თავდაცვის მინისტრმა აღიარა ის დახმარება, რომელიც გაუწია ჩეხო-სლოვაკიას საფრანგეთის სამხედრო მისსიამ გენ. პელეს მეთაურობით.

# რუსეთის ცნობები.

## თეთრი გვარდიელები და ჩინეთი.

მოსკოვი 8—12 4000 თეთრ-გვარდიელმა ჩინეთის საზღვარი გადალახა. ვინაიდან თეთრ გვარდიელებმა განიარაღებაზე უარი განაცხადეს, ამიტომ მათსა და ჩინეთის ჯარის კაცების შორის შეტაკება მოხდა.

რუსეთში ბრუნდება 700 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი სამხედრო ტყვეებისა.

## ანტანტი და პოლონეთი.

ინგლისისა და ამერიკის კაპიტალისტებს სურთ აიღონ იჯარით პოლონეთის რკინის გზები.

## გაფიცვა ნორვეგიაში.

ტრანსპორტის მუშები და მატროსები ურთდებიან გაფიცულ რკინის გზელებს.

## პოლონეთი და გერმანია.

ზემო სილეზიაში პოლონელ ბანდებსა და გერმანელ მუშებს შორის შეტაკება ხდება. შეარაღებული პოლონელებსადა გერმანელ მუშებს შორის შეტაკება ხდება. შეიარაღებული პოლონელები გერმანიის მუშებს დევნიან. ბევრი დაიჭრა.

## ვრანგელის აღიარება.

ვრანგელი სტყუვეს მიმართ დაწერილ წერილში აცხადებს: რომ იგი განწირულად სთვლიდა თავის ჯარს, იმ დღიდან, რაც საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის ზავი ჩამოვარდა. მან იმ დღიდანვე დაიწყო მზადება ევაკუაციისათვის, ამას იგი აკეთებდა საიდუმლოდ პერეკოპის დაცვის დროს ვრანგელის სიტყვით წითელი ჯარი მედგრად და მკაცრად იბრძოდა. სიცივისა და აგრეთვე ტანისამოსის უქონლობის გამო ვრანგელმა ვერ შეძლო გამკლავებოდა წითელ ჯარს, დაკარგა რა 25000 კაცი დაიხია უკან.

# ლიონის ცნობები.

## ერთა ლიგაში.

ერთა ლიგაში მყოფი არგენტინის დელეგაციის მეთაური პერინდონი ჟენევიდან პარიზში გაემგზავრა. ვრანგელის ფლოტს ბიზერტაში მოელიან. ფრანგული პრესა იუწყება. საფრანგეთის ჯავშნოსანი გემი გაემგზავრება ბიზერტაში სადაც მალე გენ. ვრანგელის გემები მოვლენო.

## საბერძნეთში.

პლებისციტის შედეგები მეფე კონსტანტინეს სასარგებლოდ გამოდგა, მაგრამ როგორც იწმუნებიან საბერძნეთის მთავრობას მოკავშირეთა დამოკიდებულების გამო დიდი დაბრკოლება ელობება წინ. მიღებულია ზომები, რომ მეფე კონსტანტინეს ათქმევინონ უარი ტახტზე თავის უფროსი შვილის სასარგებლოდ. იუწყებიან: დიადობი კონსტანტინეპოლში მოელის საბერძნეთის ჯავშნოსან გემის მოსვლას, რომლითაც იგი პირეიში უნდა დაბრუნდეს. კონსტანტინეპოლში მყოფი ბერძნები კონსტანტინეს დაბრუნების წინააღმდეგნი არიან. დიდი ბრიტანეთის ელჩმა საბერძნეთის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ... ... უარს აცხადებენ ... ... ხმის სესხის მიცემაზე.—ოთხშაბათს პარიზში ჩამოვიდენ დანიის მეფე ქრისტიან მე 10 და მისი მეუღლე ალექსანდრა. დანიისა და საფრანგეთის შორის მტკიცე კავშირი არსებობს, რის დამადასტურებელი არის შლეზვიგის დანიაზე დაბრუნება. ამ რიგად დანიის სამეფო ოჯახის მიერ პარიზის ნახვა არის მადლობის და მეგობრობის გამოცხადება. სამეფო ოჯახს მიიღებს მილიერანი მეუღლეთ ვერდენის და რეიმსის დათვალიერებისა შაბათს ისინი იტალიაში გაემგზავრებიან.

# ქალაქში.

## მთავრობაში.

— მთავრობის მიერ ბორჩალოს მაზრის ადგილობრივ მართვა გამგეობის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა სასამართლო პალატის წევრის ბ-ნ კობიაშვილის თავმჯდომარეობით დანიშნულმა საგანგებო რევიზიამ დაასრულა უმთავრეს დაწესებულებათა რევიზია და ვრცელი წერილობითი მოხსენება წარუდგინა ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს რევიზიის შედეგების შესახებ. რევიზიამ აღმოაჩინა სხვა და სხვა დაწესებულებათა მოხელეთაგან ჩადენილი ბოროტმოქმედება. ყველას წინააღმდეგ რევიზიის თავმჯდომარემ აღძრა საქმეები და ზოგი მათგანი დააპატიმრა. ბ ნ კობიაშვილს მთავრობის თავმჯდომარემ დაავალა ყველა მის მიერ აღძრული საქმეების საერთო ხელმძღვანელობა და რევიზიის საბოლოო დამთავრება

## სამინისტროებში.

— დეკემბრის 7 სახალხო განათლების მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

— მიწად მოქმედების სამინისტროს გადასახადთა განყოფილება ამუშავებს პირობებს ნატანების ახლო არსებულ დიდ ბიტუმის ექსპლოატაციისას. ბიტუმს დიდი საწარმოო მნიშვნელობა აქვს. გადასახადთა განყოფილება ფიქრობს გასცეს იჯარით ის ადგილები, სადაც ბიტუმი არსებობს იმ პირობით, რომ წარმოებიდან შემოსული წმინდა მოგებიდან განსაზღვრული პროცენტი გადაეცეს სახელმწიფოს.

— ვინაიდან მთავრობამ დაადგინა აბასთუმნის აგარაკის მიწადმოქმედების სამინისტროდგან ჯანმრთელობის დეპარტამენტის გამგებლობაში გადაცემა, ამიტომ მიწად მოქმედების სამინისტროში აბასთუმნის გადასაცემად კომისია არსდება. აღნიშნული კომისია დაარსებისთანავე აბასთუმანში გაემგზავრება.

— შრომის სამინისტრო იმ საზოგადო და კერძო დამქირავებელთა დაწესებულებებს, რომელთა მოსამსახურენი და მუშები იღებენ მუშათა მაგიდიდან სურსათ სანოვაგეს, აცნობებს რომ ისინი ვალდებულნი არიან დეკემბრის 15-მდე დეფიციტის დასაფარავად ყოველ მუშაზე და მოსამსახურეზე ახალი 5000 მანეთი შემოიტანონ, აღნიშნულ თანხის დროზე შემოუტანლობა გამოიწვევს მუშათა მაგიდიდან პურის და სხვა სურსათის მიცემის შეწყვეტას. ფულის მიღება სწარმოებს მუშათა მაგიდის სალაროში. (კიროჩნი ქუჩ., ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების შენობ ), ყოველ დღიურად დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

## თვითმართველობებში.

— ქალაქის თვითმართველობამ საბჭოს სასურსათო კომისიასთან ერთად დეკემბრის 7 მომხდარ სხდომაზე დაადგინა ახალი ნიხრის შემოღება სურსათ სანოვაგეზე: ხახვი—25 მან. მაგიერ 35 მან. გირ. კარტოფილი 25—30 მან. ნახშირი 600—800 ფ., კომბოსტო 10—12 მ. გირ. დანარჩენ სანოვაგეზე ნიხრი შეუცვლელად დარჩა.

— ქალაქის თვითმართველობამ ფონდის დამხმარე კომიტეტს ჯარის კაცთა საჭიროებისათვის გადასცა 5 ფუთი კალბასი და 5 ფუთი საპონი.

ქალაქის თვითმართველობამ ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ ქართულ დრამატიულ წრეს ნება მისცა ასწიოს ადგილების ფასები დეკემბრის 12 ს. წარმოდგენიდან შემოსული წმინდა მოგება გადაეცემა ფონდის დამხმარე კომიტეტს. ადგილების ფასები 50—150 მანეთამდე ეღირება.

— დეკემბრის 12 სახალხო გვარდიის დღეს ქალაქის თვითმართველობის შენობა მორთული და განათებული იქნება.

## მუშათა ცხოვრება.

— აღმასრულებელმა კომიტეტმა და სეკრეტარიატმა შეერთებულ სხდომაზე მოისმინა რა მთავრობის დადგენილება პურის რაციონის გადიდებისა და მუშამოსამსახურეთადმი შაქრის, შეშის, ნავთისა და კომბოსტოს მიწოდების შესახებ, დაადგინა: 1. სთხოვოს მთავრობას დააჩქაროს ზემოაღნიშნულ დადგენილების ცხოვრებაში გატარება, 2. ეს კანონი გაავრცელოს მთელს რესპუბლიკაში და ამ მიზნით ადგილობრივ მოაწყოს სათანადო აპარატები, 3. იმ ადგილებში, სადაც შეუძლებელი იქნება ამ ღონისძიების გატარება, მუშებსა და მოსამსახურეებს მიეცეს ფულით დახმარება.

## სხვა და სხვა

— მიწად მოქმედების გადასახადთა განყოფილებამ ყარაიაზის ტბა გასცა იჯარით 1 წლის ვადით. მიზანი ტბის იჯარით გაცემისა არის მისი თევზის სიმდიდრის ექსპლოატაცია. მოიჯარადრე ჯაფარიძე ვალდებულია საიჯარო გადასახადის სახით მიაწოდოს თბილისს ყოველთვიურად 60 ფუთი ნედლი თევზი.

— აფთიაქის მოწაფეთა საყურადღებოდ. ა. წ. დეკემბრის 25-ს დაიწყება მეცადინეობა ტფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის კურსებზე აფთიაქის თანაშემწეებად მისაღებად. სწავლის ფული თვიურად მოწაფეს გადახდება ... მანეთი. გამოცდები მოხდება სახელმწიფო უნივერსიტეტში მომავალ წლის მარტში რუსულ-ქართულ ენაზე და დაუშვებენ არა ნაკლებ სამი წლის პრაქტიკიანებსა.

— დაშნაკელების დაპატიმრება. ტფილისში მოსულ ცნობებით სადგურ ... ლიზე დაუპატიმრებიათ და გაუგზავნიათ საბჭოთა მთავრობისათვის ყოფილი ... მიერი ამაზასპ ოკუჯანიანი, „ნორ აშხატავორის" რედაქტორი კ. ყაზაზიანი, სომხეთის პარლამენტის წევრი ... დავითიანი და სამხედრო მოხელე სომხეთის სამხედრო წარმომადგენლობასთან საქართველოში მანას მაკარიანი. ყველანი ერევნის ციხეში იქნენ დაპატიმრებულნი.

## ბ ა თ ო მ შ ი.

— ბათომში ჩამოვიდენ საქართველოს ელჩი ჩინეთ-იაპონიაში დავით როსტომაშვილი და საქართველოს ელჩი არგენტინაში ბატონი დეკანოზიშვილი. ჩვენმა გუშინ ინახულეს გენერალი მდივანი.

— ჩინეთ-იაპონიიდან ჩამოსულმა საქართველოს ელჩმა გენ. მდივანს აცნობა, რომ საქართველოსთვის ზღვით მოდის ექვსასი ათასი ფ. თეთრი პურის ფქვილი.

— ნავთსადგურში. ამ დღეებში მოვიდა ... ლიან ინგლისურ გემი „... ნეეცა", რომელიც სოხუმიდან ჩამოვიდა თამბაქოს.

— გუშინ მოვიდა საბერძნეთიდან გემი „ელეფტერია", რომელიც წაიყვანს ბერძენ ლტოლვილებს.

— ნავთსადგურში სდგას მრავალი წვრილი იალქნიანი და მოტორიანი ვემი. („ბ. გ.")

# გელათის მარცხენი

ამ ორი დღის წინ, საქართველოს დეპეშათა სააგენტომ, მთელს ქვეყნიერებას მოჰფინა შემაძრწუნებელი ცნობა, რომ:

ვინაიდგან სამღვდლოებას გელათის მონასტერიდან გამოაქვს განძეულობა და ბაზარზედ ჰყიდის მას, მთავრობის თავმჯდომარემ საგანგებო რწმუნებული გაგზავნა გელათს და მას დაავალა, რომ თუ ასეთს ფაქტებს ადგილი ჰქონდა, მიეღო ყოველივე ზომები მათი დაცვისათვის.

სააგენტოს ცნობით, გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ასეთს ფაქტებს მართლა ჰქონიათ ადგილი და ამიტომ მთავრობის რწმუნებულმა, რომელიც სრული უფლებით იყო აღჭურვილი ეს განძეულობა ქუთაისის ხაზინაში გადიტანა.

იმავე სააგენტომ გვაცნობა ის ინციდენტიც, რომელსაც მომხდარი ამბავის გამო ადგილი ჰქონდა მთავრობის თავმჯდომარის ბ ნ ნოე ჟორდანიას და მისი უწმიდესობის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლეონიდეს შორის.

გაზ. „საქართველოს" რედაქცია გამოიძიო ყველა საბუთებს გელათში მომხდარი ამბების შესახებ და ვინაიდგან დარწმუნდა, რომ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ცნობა ისევე, როგორც ყველა ცნობანი გაზეთ „ერთობისა", დაფუძნებულია მხოლოდ სიცრუეზე და განზრახ არის მოგონილი, საჭიროდ სცნობს გააცნოს ქართველ საზოგადოებას საქმის ნამდვილი ვითარება.

**პირველი ცნობა.**

ნოემბრის 24-ს, მისმა უწმიდესობამ კათალიკოსმა ლეონიდემ ასეთი

...ულოდნელი დეპეშა მიიღო ქუ... მიტროპოლიტ ნაზარისაგან: ...ნოემბერს, თბილისიდან ჩამო... მთავრობის წარმომადგენელმა ...ორდინიას პირადმა მდივანმა გ. ...ძემ, ადგილობრივი პროკურო... ...რობის თავმჯდომარის და მი...ს უფროსის თანხლებით, ჩემდა ...ურთველად და დაუკითხავად წა... ...ელათის მონასტრიდან ძვირფასი ...ი და განძეულობა ამა მონასტრი ... ჯრუჭისა, გელათის მონასტერში ...ლი; დაწვრილებითი მოხსენება ...ბა.

მიტროპოლიტი ნაზარი.

...ლიკოზი—მთავრობის თავმჯდომარეს.

...ცნობის მიღებისთანავე, მისმა უწ...ობამ დაუყონებლივ შემდეგი ტე...ეგრამა გაუგზავნა მთავრობის ...ჯდომარეს:

„მოწყალეო ბატონო
ნოე ნიკოლოზის ძევ!

...თათელ მიტროპოლიტისაგან მო...ა შემდეგი შემაძრწუნებელი დე... (მოყვანილია ზემო ხსენებული ...ა). გაცნობებთ რა ზემო-აღნიშ..., პატივისცემით გთხოვთ, მოწყა... ბატონო, გასცეთ განკარგულება ...ების გელათშივე დატოვებისათვის“.

...ულიად საქართველოს კათალი... ...პატრიარქი ლეონ დე.

პასუხი:

მიმართვაზედ მისმა უწმინდესობამ [illegible]

[illegible]

...ცვისათვის, როგორც მაგალითად, სეფისკვერი, ზედაშე, ნახშირი, საკმეველი, სანთელი და სხვანი სრულიად დაუკმაყოფილებელი რჩებოდა, ნება მიეცი არქიმანდრიტ ნესტორს, გაეყიდა ჩამოთვლილი უმნიშვნელო ნივთები ეხლანდელი კურსის მიხედვით. ნივთები, რომელთა სიას ამასთანავე ვადგენ, გაუყიდიათ 3 ამა ნოემბერს ქ. ქუთაისში 33620 მანეთად, რომელიც ჩაწერილია მონასტრის შემოსავალ-გასავლის წიგნში 79, 80, 81 და 82 გვერდთა შინა. ასეთი კანონიერი გზით, გარეშე ყოველივე ბოროტ-მოქმედებისა, უმნიშვნელო და სრულიად უმიზნოთ მონასტერში დაცულ ნივთების გაყიდვას მონასტრის მოუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, გაზეთმა „სოციალ დემოკრატმა“ 37 ნომერში გელათის გაძარცვა უწოდა, და მთავრობასთან თბილისში იქმნა გაგზავნილი ჩემთვის უცნობი შინაარსის მოხსენება ჩემდა წინასწარ ამ საგანზე შეკითხვის გარეშე. მოხსენება იგი მთავრობისაგან დაბოლოვდა იმითი, რომ 23 ამა ნოემბერს გელათის მონასტერს, ჩემდა იქმნა დაურთველად და შეუტყობლად მიადგნენ ტფილისიდან ჩამოსული მთავრობის წარმომადგენელი გ. ცინცაძე, ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე, ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი, ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსი და თოთხმეტი მილიციონერები ტრეზენტით გადაფარებულ დროგით; ადგილობითი არქიმანდრიტს მოსთხოვეს გელათის მონასტრის ნივთების ჩაბარება და მასთან [illegible]

[illegible]

როდესაც ჩვენ ხალხში ქრისტეს რჯული და მოძღვრება ძველებურად შექცეს და დიდი ძლიერებით ღვის. ნაკურთხი ხატი, რომელსაც მორწმუნე სალებით შემკული, სანთელს უნთებს და მუხლს უყრის, იმავე მორწმუნეს მხოლოდ ეკლესიაში აქვს დასვენებული თავის სათაყვანებელ საგნად და არა ხაზინაში ხანდუკებში ჩაკეტილ-ჩაბეჭდილი. უკეთუ მთავრობა ამ შემთხვევაში საეკლესიო უწყებას დახმარებას უწევდა აღნიშნულ საუნჯის დაცვა-შენახვაში, უმჯობესი იყო ეს დახმარება ადგილზე აღმოეჩინა თვით გელათის მონასტრის მცველთა მიერ გამაგრებით და არა თვით ნივთები გადაეზიდა ხაზინაში, სადაც ისინი კარგავენ თავის დანიშნულებას და სახელს და იქცევიან უბრალო მეტალის ზოდებად და მით გულსა და სულს უკლავენ მორწმუნე ერს.

4) გელათის მონასტერში ყოველი შეშინების დროს განსვლის ინახებოდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ძვირფასი ხატები და განძეულობა და ეხლაც იქ მათი დაცვა უფრო მტკიცე მოსახერხებელი და შესაფერია, ვიდრე სადმე ხაზინაში, სადაც მათ მთლიანობით დაცვას დიდი ხიფათი მოელის, როგორც გარეშე მტრებისაგან შემოსევის დროს, ისე შინაური არა კეთილსაიმედო პირთაგან. გელათის მონასტერი ამ მხრით საქართველოში ყოველთვის წარმოადგენდა საუკეთესო საეკლესიო მუზეუმს, რომელმაც დიდებულად გაამართლა თავისი დანიშნულება, უკლებლად შეინახა რა რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში დღეს მისგან გამოზიდული ეკლესიური ძვირფასეულობა.

5) ეკლესიური ნივთები, თანახმად მათ შემწირველთა სურვილისა და ანდერძისა უნდა ინახებოდეს ეკლესიაში და არა სადმე ხაზინაში, სადაც თვით ნივთებს ეკარგებათ ეკლესიური ხასიათი და ღირსება. ეკლესიიდან გამოტანა იმ ნივთებისა ნიშნავს მათდამი შემწირველთა მიცემული დანიშნულების შეცვლას, რომელიც თვით შემწირველთა აძლევს იურიდიულ უფლებას უკან წაიღონ მათ მიერ შეწირული ნივთები, როგორც შეწირულნი ეკლესიისადმი და არა მთავრობისა და ხაზინისადმი;

6) მთელი სახელი და დიდება, რომლითაც გელათის მონასტერი განსხვავდებოდა სხვა მონასტრებიდან საქართველოში, იყო ის განძეულობა, რომელიც მას გამოაცალეს და რომლის მიხედვით აღგენდა ყოველი ქართველი თავის შეხედულებას ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ძლიერება-შემოქმედებაზე. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ამაყო საგანს შეადგენს დიდებული გელათის მონასტერი არა მარტო ცარიელი კედლებით, არამედ იმ ნივთების წყალობით, რომლებიც მოწმობენ ჩვენ წინაპართა სარწმუნოებრივ ძლიერებაზე. დაცალიერებული გელათი კი არავისთვის არაფერ დიდებას აღარ წარმოადგენს, რაიცა, ჩემი შეხედულებით, დიდ სამძიმო და სამწუხარო უნდა შეიქნეს მთელი ჩვენი ქვეყნის მორწმუნეერის, რომელსაც ჯერ ასეთი დაცალიერება გელათის მონასტრისა არც კი გაუგია, გარდა იქვე მდებარე ოკრიბის მხარისა, რომლის 30 სოფელი, როგორც ისმის, ამ შემთხვევის გამო დიდი პროტესტს აცხადებს და მოითხოვს ნივთების გელათში დაბრუნებას, საიდგანაც საქართველოს დიდი უბედურების და არეულობის დროსაც თვით აზიის მტარვალ შაჰაბაზს და მურვან ყრუსაც კი არ დაუძრავთ იგი ნივთები.

მოგახსენებ რა ამას საკათალიკოზო საბჭოს, უმორჩილესად გთხოვ მას აღძრას შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე, რათა გელათის მონასტერს დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს მისგან 23 ამა ნოემბერს გამოტანილი განძეულობა იმავე მონასტერში ძველებურის მტკიცით დასაცველად.

**მოხსენება გელათის არქიმანდრიტის ნესტორისა ქუთაისის მიტროპოლიტ:**

„ამით პატივი მაქვს, ვსთხოვო თქვენს მეუფებას, რომ გელათის მონასტრის ეკონომოსს ნება დართოთ, რათა მან მონასტრის საჭიროებისათვის გაყიდოს ის ოქროს და ვერცხლის ნივთები, რომელნიც სხვა და სხვა პირთაგან არიან შეწირულნი და საეკლესიო სახმარებლად არ არიან საჭირონი და არც გამოსდეგნი, მაგალითად—საყურეები, ბროშკები, ბეჭდები და სხვა ამ გვარი წვრილმანი ნივთები. 26 აგვისტო 1920 წ. № 170.“

ამ მოხსენებაზე რეზოლიუცია ქუთათელისა: „1920 წ. აგვისტოს 27. თანახმა ვარ გაყიდოთ უსათუოდ ეხლანდელ კურსის მიხედვით. არ მიგატყუონ მყიდველებმა“.

## რა ნივთები გაჰყიდეს?

სია ოქრო ვერცხლის ნივთებისა, რომელიც დანიშნულია გასაყიდად მონასტრის სასარგებლოდ:

ერთი ოქროს საათი ქალისა ბრასლეტიანი, მოშლილი და უშუშო, გაიყიდა ათი ათას (10.000) მან.

ორი პატარა გულსაკიდი ოქროს ჯვარი.

სამი ოქროს ბროშკები.

რვა ოქროს სხვა და სხვა სახის წვრილი ბეჭდები, კარგი და გლახა ქვიანები.

ხუთი ოქროს წვრილი ყურ-საკიდი.

ერთი ოქროს პატარა ქანდაკება კაცისა.

სამი ოქროს ძეწი (სიწა).

ერთი ოქროს გულის ქინძისთავი.

ყველა ეს ოქროს ნივთები წონით 11 სამი მეოთხედი მისხალი გაიყიდა 14100 მანეთად.

ვერცხლის ნივთები:

ერთი ვერცხლის პატარა გულსაკიდი ჯვარი.

თოთხმეტი ბეჭედი ვერცხლისა სხვა და სხვა ზომის.

ერთი ვერცხლის ბროშკა პატარა არწივიანი.

ერთი ვერცხლის პატარა კოვზი.

ერთი წყვილი ვერცხლის საყურე.

ერთი ვერცხლის პატარა თავი კაცისა.

ერთი ვერცხლის პატარა ფიცარი, კამის საათის.

ცხრა მედალი ვერცხლისა, ერთი მათგანი ათმანეთიანის ოდენაა დანარჩენი პატარები და წვრილი აკვნები და სინები.

— ვერცხლის დამტვრეული ფული ცხრა მანეთის და 80 კ.

— ვერცხლის წვრილი ფული კარგისა 24 მ.ნ. 35 კაპ. ამათგანი სამი თითო მანეთიანი.

გროშის ფული გადალესილი და გადულესაგი 4 ნ.ხ. გირვ. ყველა ეს ვერცხლის ნივთები 115 მისხალი გაიყიდა 4025 მან. ხოლო ვერცხლის ფული კარგი და გლახა—4675 მან., 4 ნახ. გირ. გროშის ფული კარგი და გლახა 450 მ.

—

როგორც მკითხველი ხედავს, მონასტერს არავითარი საგანძური არ გაუყიდნია და მხოლოდ რეალიზაცია უყვია იმ ქონებისა, რომელთაც სწორედ სწირავენ ეკლესიას.

მკითხველისათვის უფრო საინტერესო იქნება გაეცნოს სიას იმ ნივთებისას, რომლებიც ბ-ნმა ცინცაძემ გამოზიდა მონასტრიდან; ეს სია დაარწმუნებს მკითხველს, რომ უკეთუ მონასტერში ქურდობას ჰქონდა ადგილი, მაშინ ეს განძეულობა ასე დაცული ვერ იქნებოდა ჩვენი დროის ქურდობის ხანაში.

## გელათის მონასტრიდან გამოტანილ ნივთების სია:

1. დიდი ჯვარი წინ გამოსაძღოლი (118) რვა ოქროს ნაწილ. სამი ვერცხლის.
2. იმგვარივე გამოსატანი ჯვარი ოქროსი (117) სამი ნაწილი.
3. საკათალიკოსო სტიხარი.
4. საკათალიკოზო ბისონი ოქროს ლილებით.
5. საკათალიკოზო ბარტყულა რომელიც შემკულია ჯვრით და მარგალიტებით.
6. ენქერი მარგალიტებით შემკობილი.
7. ოლარი მარგალიტებით მოჭედილი.
8. სამკლავოები ორი რწყვილი მარგალიტებით მოჭედილი.
9. საკათალიკოზო მიტრა კამილავკის მსგავსი ბრილიანტით მოჭედილი.
10. საარქიერო მიტრა თვალმარგალიტებით და სხვადასხვა ქვებით მოჭედილი
11. სამეფო გვირგვინი სხვა და სხვა ქვებით და თვალმარგალიტებით მოჭედილი,
12. ექვსი პატარა ჯვრები ძვირფასი ქვებისა და მარგალიტისაგან გაკეთებული, მხოლოდ ერთი მათგანი ბრილიანტისაგან.
13. ერთი პატარა ჯვარი უნდა იყოს ოქროსი.
14. ერთი დანგრეული პატარა ჯვარი თავისი ქვებით.

ზემო აღნიშნული ჯვრები არის სამეფო გვირგვინში შენახული.

15. ომფორი მარგალიტებით შემკული.
16. ერთი ანგელოზი მარგალიტებისაგან გაკეთებული შავი ბარტყულის ნაწილი.
17. ერთი წყვილი ქოში თამარისა მარგალიტებისა—ქუსლები ვერცხლის ნალებით დაჭედილი.
18. ერთი ოქროს ფეშხუმი შეუმკობლად ოთხმოცდა ცხრა მისხალი.
19. ერთი ოთხკუთხი ჯვარი ვერცხლით მოჭედილი ფართე ფრთებით.
20. ოქროს ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც აქეთ და იქით ანგელოზები აქვს.
21. ერთი პატარა ღვთისმშობლის ხატი ვერცხლის ძვირფასი ქვებით მოჭედილი.
22. რგვალი ვერცხლის ხატი ლომზე მჯდომარე წმინდანით.
33. ღვთისმშობლის ხატი ზემო პირი ოქროსი.
24. ჯვარი ოქროს ფრთებით, რომელზედაც გამოხატვა მახარობლები.
25. ორი ვერცხლის ბალთები.
26. ოთხი ტრაპეზის ჯვარი ძველი ათონის ხელობა.
27. ქისა ვერცხლით მოჭედილი.
28. ფეშხუმი ვერცხლის.
29. ერთი ძველი ღვთისმშობლის ხატი.
30. პატარა ხატი მაცხოვრისა ზედა პირი ვერცხლის მოოქრული.
31 ღვთის მშობლის ხატი
32 ოქროს ღვთის მშობლის ხატი თვლებით და მარგალიტებით შემკობილი ხუცური და წარწერით.
33 ღვთის მშობლის ხატი ხეზე დახატული შემკული თვალმარგალიტებით უკანა პირი ვერცხლით გადაკრული ნახევარზე ხუცური წარწერით.
34 ჯვარი ხისა გარშემო მოჭედილი მოოქრული ვერცხლით და გარშემო ძვლის ფრთებით.
35 ოთხი ფეშხუმი ვერცხლისა (ერთი მოოქრული)
36 ერთი სურა ვერცხლის.
37 ორი პატარა სურა ვერცხლის.
38 ერთი პატარა ხელნაწერი სახარება მოოქრული ვერცხლის ბუდეში.
39 ერთი დიდი სახარება ვერცხლის ყდისა.
40 ექვსი სხვა და სხვა ზომის სახარება ყდებზე ვერცხლის გადაკრული.
41 ერთი პატარა ჯვარი ათონის ხელობა ხისა გარშემო თვალმარგალიტებით შემკობილი.
42 საარქიერო ხელსაბანი ტაშტი ვერცხლის.
43 იოანე ნათლის მცემლის ხატი ხეზე დახატული გარშემო ვერცხლით მოჭედილი.
44 ხის ჯვარი ათონის ხელობა გარშემო ვერცხლით მოჭედილი.
45 ერთი ვერცხლის შანდალი.
46 ერთი ვერცხლის სურა არწივის ნისკარტით თავდასახურიანი.
37 ვერცხლის სასაკმეველე ჭურჭელი ერთი კედრით ეკლესია გუმბათით შიგ არის პატარა ვერცხლის კოლოფი ღრუბლით.
48 სანაწილე პატარა, რომელშიდაც არის პატარა ბარძიმი ორი პატარა კოვზი, ღვინის ჩასასხმელი ჭურჭელი და ნაწილების სანაწილე კოლოფი ყველა ვერცხლის.
49 ოქროს ქამარი ბაგრატიონის შეწირული.
50 ვარსკვლავი ოქროს თვლებით მორთული.
51 კოვზი ოქროს თვლებით მორთული.
52 საიაზმე ვერცხლის თავიანათ.
53 ერთი ოქროს კანდელი უბრალო ძეწკვით ოთხი შანდლით.
54 ხუთი ვარსკვლავი ვერცხლისა.
55 ერთი პატარა ღვთისმშობლის ხატი ვერცხლისა.
56 ერთი პატარა ხატი წმ. გიორგის ნაწილებით.
57 პატარა კოლოფი სანაწილე.
58 ოთხი ვერცხლის კოვზი.
59 ერთი პატარა ვერცხლის ჯვარი.
60 ორი რწყვილი პრიაშკა.
61 სამი ვერცხლის ბარძიმი
62 ერთი ვერცხლის მოოქრული ბარძიმი.
63 ორი საცეცხლური ვერცხლის.
64 ვერცხლის ჯვარი ფეხმოტეხილი
65 გულსაკიდი საარქიმანდრიტო ჯვარი.
66 ვერცხლის ბარძიმ ფეშხუმი.
67 ვარსკვლავი ვერცხლის.
68 კოვზი ვერცხლის.
69 უბრალო სამ სანთლიანი კანდელი.
70. საარქიმანდრიტო ჯვარი.
71. სხვა და სხვა ნივთებიდან ჩამოშორებული ნაწილები რიცხვით ცხრა მოზრდილი ორი მათგანი ოქროსი მათ რიცხვში ერთი მარგალიტის ჯვარი, რომელსაც შუა გულში უზის წითელი თვალი, გარშემო კიდევ მწვანე თვლები, შემკული ა ყველა პატარა წითელ პლოტიკით.
72. პატარა უბრალო სპილენძის კოლოფი, რომელშიდაც ინახება ჩამონაცვენი მარგალიტები და ლილები და სხვა წვრიმალი ნივთები.
73. ოთხი ნატეხი შანდლისა ვერცხლის.
74. ერთი ვერცხლის პრიაშკის ნატეხი.
75. პატარა ხატი წმ. გიორგის ვერცხლით გადაკრული.
76. ერთი ჯვრის ფეხი სპილენძისა და მაშა პატარა უბრალო.
77. სპიჩკის კოლოფში თხელ-თხელი ფარები.
78. ვერცხლის ნატეხები ქაღალდში ახვეული.
79. ერთი კანდელი ხუთ სანთლიანი იაკობ ნიკოლაძის შეწირული.
80. კანდლის ნატეხები ხუთი—ერთი პატარა ძეწკვით.
81. ორი პატარა კანდელი ფარნაოზ და მეფის ასულის ანნას შეწირული.
82. სანათლავი გულსაკიდი ჯვარი ვერცხლის.

**ჯრუჭის მონასტრის ნივთები.**

1. ტრაპეზის ვერცხლის ჯვარი
2. საიაზმე ვერცხლის.
3. სახარებები სამი ვერცხლის ყდით.
4. კანდელი ვერცხლის თავით.
5. ღვთის მშობლის ხატები სამი უფროს-უფროსი.
6. ორი დიდი ბარძიმი ვერცხლის.
7. სახარება ვერცხლის.
8. კანდელი ვერცხლის ოთხ სანთლიანი.
9. კანდელი უძეწკვო ხუთ შანდლიანი.
10. ათონის ხელობის ჯვარი.
11. სასაკმეველე ვერცხლის.
12. ღვთის მშობლის ხატი კარებით.
13. კანდელი ოთხი.
15. კანდელი პატარა ძეწკვით.
16. დოლარების ჭურჭელი ორი.
17. ერთი ხის ჯვარი ათონის ხელობა საღა.
18. დიდი სახარება მოოქრული ვერცხლის.
19. ღვთისმშობლის ხატი თვლებით მორთული.
20. ღვთისმშობლის ხატი პატარა.
21. ცხრა ჯვარი ათონის ხელობის სხვა და სხვა ზოგი ხისა და ზოგი ლითონის.
22. ვერცხლის სანაწე ორი პატარა ჯვარი—ერთი ოქროსი მეორე ვერცხლის და ორი პატარა ბეჭედი.
24. ორი პანაგია უძეწკვო ოქროსი ძვირ თვლებით.
25. ერთი სანაწილე ვერცხლისა.
26. ერთი წმ. გიორგის ხატი რგვალი პატარა.
26. ერთი ვერცხლის ყუთი, რომელშიდაც—აწყვია ზემო აღნიშნული პანაგიები და წვრიმალი ნივთები.
27 ერთი ორდენ ანასი მესამე ხარისხის.
29. ერთი მედალი ალექსანდრე მესამე სახით.
30. პატარა იაშიკი, შუშის თავის სახურავით, რომელშიდაც არის ნაწილები.

დედანზე აღნიშნულია ჯეროვანი ხელის მოწერა. დედანთან სწორია: ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობის მდივანი კ. რამიშვილი 24 (ნოემბერი) 20 წ.

სწორია კანცელარიის გამგე გრ. თუთბერიძე.

## ოქმი

1920 წელსა ნოემბრის 23—24 დღესა. ჩვენ მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულმა გ. ცინცაძემ, ქუთაისის სამაზრო ერობის თავმჯდომარემ კ. ა. სულაქველიძემ, ოლქის სასამართლოს პროკურორმა ნ. მ. იამანიძემ და ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსმა ი. ახვლედიანმა თანახმად პირველი ჩვენ ანის წინადადებისა მან მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულმა მოთხოვა მონასტრის ეკონომოსის მღვდელ-მონაზონს ექვთიმეს და მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტს ნესტორს ეჩვენებინა მონასტრის განძეულობა, რაიცა აღმოჩნდა ეკლესიის კედელში დატანებულ ოთახში, რომლის შესავალი იყო ამოშენებული ქვით და ტალახით, მაგრამ შეურთებული; როდესაც ზევით ოთახში ავედით, იქ აღმოჩნდა ხუთ ყუთში ჩაწყობილი განძეულობა. ერთ მათგანში იყო ჯრუჭის მონასტრის განძეულობა და ორი დიდი ხატი კედელზე მიყუდებული ერთი ხახულის ღვთის მშობლისა და მეორე გელათის ღვთისმშობლისა და სამი პატარა ხატები, რომელთაგან ორს ოქროს ნაწილები და თვლები თითქმის სრულიად აცილებული აქვთ. ამასთანავე ხახულის ღვთისმშობლის ხატზე აცილებულია რამოდენიმე თვალი, რომელთაგან ერთი თვალი ახლად აცილებული უნდა იყოს. სულ ყველა ყუთები აღმოჩნდა დაუკეტელი. მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულის წინადადებით სულ ყველა ყუთები იქმნა დაბეჭდილი თანდასწრებით არქიმანდრიტის ნესტორისა, ეკონომოსის ექვთიმესი, ბერმონაზონის ლორთესი და მოწამეთის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტის ნიკოლოზისა. აღნიშნული ყუთები იქმნა წაღებული ქუთაისის ხაზინაში. ხოლო ხახულის ღვთისმშობლის ხატი და სამი პატარა ხატები იქმნა ჩალაგებული ყუთში, რომელიც დაიბეჭდა სამაზრო ერობის გამგეობის და გელათის წინამძღვრის ბეჭდებით, გელათის მეორე ღვთისმშობლის ოქროს ხატი იქვე იქმნა დატოვებული პირველთაგან ერთად. ზემო აღნიშნულნი ყუთები მილიციელთა რაზმის და ჩვენი თანხლებით იქნა ჩამოტანილი ქუთაისის სახაზინაში, იმ ღამესავე იქმნა ჩაბარებული ხაზინადარისადმი და მოთავსებული ხაზინის სალაროში. მეორე დღეს 24 ნახევარ... სწრებით გელათის და მოწამეთის წინამძღვართა, ეკონომოსის ექვთიმესა, ჩვენისა და ხაზინის ორი ნაფიც მოანგარიშეთა თედორაძის და კერესელიძის დახმარებით იქმნა ყუთები გახსნილი, მთელი განძეულობა აღწერილი და ჩალაგებული ერთ რკინის ყუთში, რომელიც იქმნა დაკეტილი და დაბეჭდილი ოთხი ბეჭდით სამაზრო ერობის გამგეობისა, პროკურორისა, გელათის არქიმანდრიტისა და ხაზინადარისა. გასაღები რკინის ყუთისა იქმნა წაღებული მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულის მიერ. განძეულობის სიის ასლებისაგან ორი მიეცა გელათის წინამძღვარს, ერთი ხაზინადარს და ნამდვილი კი წაიღო მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულმა.—ჩაწერილია „ჩაბარებული“. მთავრობის თავმჯდომარეს რწმუნებული გ. ცინცაძე; ოლქის სასამართლოს პროკურორი იამანიძე. ერობის გამგეობის თავმჯდომარე სულაქველიძე. ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსი ახვლედიანი.

ხელს ვაწერ იმ დამატებით, რომ ხახულის ღვთის მშობლის ხატის მარცხენა ფრთაზე ორი თვლის ადგილია ცარიელია და ეტყობა ახალი ამოღებულობა, მოწამეთის წინამძღ. არხიმ. ნიკოლოზი წინამძღვარი გელათის მონასტრისა, არხიმანდრიტი ნესტორი.

სწორია: კანცელარიის გამგე გრ. თუთბერიძე.

შევასწორე: თანაშემწეს მაგ. მღ. ნ. შავიანიძე.

## ორი მარგალიტის ამბავი.

ამრიგათ აღმოჩნდა, რომ გელათის მონასტერში შენახული ყოფილა ისეთი დიდი განძეულობა, რომ ყველა მენშევიკებმა რომ დაირიგონ თავსაც ეყოთ, ორი მარგალიტი მაინც ჰკლებია!

და სხვა არაფერი!

რა მარგალიტებია ეს მარგალიტები?

ბ ნ ცინცაძის ექსპედიციაში არც ერთი არქეოლოგი არ ყოფილა, რომ დაემოწმებია—მართლა ახალი ამოღებული

არის თუ არა ხახულის ღვთის მშობლის ხატიდან ორი მარგალიტი: არის მხოლოდ ერობის კანცელარიის გამგის ვილაც ერ. თუმბერიძის ,,ავტორიტეტული'' შენიშვნა ამის შესახებ, მაგრამ რას იტყვიან ნამდვილი ავტორიტეტები არ ვიცით.

არა ოფიციალური ცნობებით კი, ეს ორი მარგალიტი ჩვენი დროის ხალხს ამ ხატზედ არ ახსოვთ.

და მართლაც რომ მოეპარათ ეს ორი მარგალიტი, განა იგი საბუთს იძლევა, რომ ხალხის რწმენა ასე შეურაცხყოფილი იქნეს და მორწმუნეთა საუნჯე, რომელიც საეკლესიო რიტუალის აუცილებელი ატრიბუტია, წამოიღოს იმ ხალხმა, რომელთაც არა თუ თვალ მარგალიტი, ,,მანი კრუპა'' და შაქარიც კი ქურდებისაგან ვერ დაუცავს?

ყველა ამის შემდეგ ახსნა არ არის საჭირო, თუ რა აღელვებას გამოიწვევდა მომხდარი ამბავი კათალიკოზ პატრიარქზედ, რომელიც დარაჯია საეკლესიო სიწმინდისა; და იგიც შემდეგ აღშფოთებულ წერილს სწერს მთავრობის თავმჯდომარეს.

### კათალიკოზის წერილი ბ. მთავრობის თავმჯდომარეს

დიდად პატივცემულო ნოე ნიკოლოზის ძევ!

ტელეფონოგრამით, რომელიც თქვენი სახელით გადმომცა ბ. ჯაფარიძემ ნოემბრის 26, თქვენ მითვლიდით: ,,დღეს, ან ხვალ ქუთაისიდან დაბრუნდება ჩემი რწმუნებული და მაშინ დაწვრილებით გაცნობებთ გელათის ამბებს''. დღეს დეკემბრის 8, თქვენი რწმუნებული კარგა ხანია დაბრუნდა და თბილისში იმყოფება, მაგრამ მე მაინც ღირსი არ გავხდი თქვენგან აღთქმული ცნობების მიღებისა!

დღეიდან ეს ცნობები არ მჭირდება, მე უკვე მივიღე სრულებით სანდო წყაროდან საჭირო ცნობები მთელი სისრულით.

ვცდილობ მივხვდე, რამ გაიძულათ თბილისიდან რწმუნებულის გაგზავნა გელათში მონასტრის განძეულობის გადმოსატანად და ვერ გამიგია, ვერ მივხვედრილვარ, ვერ გამომირკვევია, ეს რა ჩაგიდენიათ და როგორ აგიყირავებიათ ყველაფერი! უეჭველია, თქვენ მიმითითებთ სოციალ-დემოკრატების გაზეთებში მოყვანილ ცნობაზე გელათის მონასტრის ვითომდა ბერებისაგან გაძარცვის შესახებ, მაგრამ ეს საბუთი არ გამოგადგებათ, რადგანაც დღეს ჩვენში ხუთი წლის ბავშმაც კი კარგად იცის, რა ღირებულების და სისწორის ცნობებიც იბეჭდება ეკლესიაზე სოციალისტების ორგანოებში. დავანებოთ ამას თავი, წარმოვიდგინოთ შეუძლებელი, დავიჯეროთ, რომ სოციალისტების გაზეთში მოყვანილი შემთხვევა გელათის გაძარცვის შესახებ და ქუთაისის მილიციის უფროსის მოხსენებაც ვითომდა ნაქურდალის აღმოჩენაზე სინამდვილეა, მერე ეს გარემოება გიკარნახებდათ იმ საბიფათო ნაბიჯის გადადგმას, რომელიც თქვენ გადაგიდგამთ? განა თქვენ გქონდათ უფლება, თუ თქვენს გარდა უფლებას სხვებსაც არგუნებთ, რომ მონასტრის გაძარცვის ამბავი იმავე დღეს არ შეგეტყობინებიათ საკათალიკოზო საბჭოსთვის ბეჯითი მოთხოვნით, რომ მას დაუყონებლივ მიეღო ფიცხელი ზომები ჩადენილი ბოროტ მოქმედების გამოსარკვევად და შედეგები ძიებისა ეცნობებია თქვენთვის!?

საკათალიკოზო საბჭო ხომ ჩვენი რესპუბლიკისგან ჯერჯერობით ცნობილი და შეწყნარებული უზენაესი საეკლესიო ორგანოა და რომელი უფლება მოსილებით ამ ორგანოს გაუსვით განადგურების ხაზი?

მეორე, ნუ თუ ჩემი მდგომარეობა, როგორც საქართველოს მთელი მორწმუნე მოსახლეობის მამამთავრისა და დროული საზოგადო მოღვაწისა საბუთია თქვენთვის იმისი, რომ არაფერი ანგარიში არ გამიწიოთ, ჩვარივით მთელი და ჩემდა სრულებით დაუკითხავად ზიდოთ ტომრებიდან თქვენს ძირ გავარდნილ ხაზინებში ვითომდა დასაცველად სასწაულ მომქმედი ხატები, ჯვრები, წმ. ნაწილები, შესამოსები, ბარძიმ ფეშხუმები და სხ.? არც სიცოცხლე, არც გონება და არც მორწმუნე ერისაგან მინიჭებული უფლება მოსილება, ღვთის მადლით, ჯერ ჯერობით არ დამიკარგავს და ვერ გამიგია, რომელი უფლებით გინებებიათ საქართველოს ეკლესიის საჭეთ მპყრობელის კვერთხის აღება ხელში და ბრძანების გაცემა ისეთი რამეების გადმოტანა გელათის მონასტრიდან, რასაც მორწმუნენი მუხლს უყრიან, წმ. სანთელს უნთებენ და თუ ეხებიან მათ, მხოლოდ და მხოლოდ დიდი კრძალვა—სიწმიდით ამ ბორის ყოფით, ისიც სამღვდელო პირთა დახმარებით და არა სხვა რომელიმე სახით.

მესამე, განა თქვენ გქონდათ ან დღეს გაქვთ იმის საბუთი, რომ შეიარაღებული მილიციონერების რაზმით შეჭრილიყავით გელათის მონასტერში ცნობის მიუცემლად და სრულებით დაუკითხავად ქუთაისის ეპარქიალური მწყემსმთავრისა, რომელსაც ასეთი თქვენი საქციელით პატივსცემას უკარგავთ და საზოგადოების თვალში სახავთ ნდობა დაკარგულ, საეჭვო პირად?!

მეოთხე, თქვენ შეუწყნარებლად შელახეთ და შეურაცხყავით მორწმუნე ერის სინდისი, იმ ხალხს, რომელიც ეკლესიის ეზოდან გამოსული ფეხს იბერტყავს წმიდა ადგილის მტვერი არ გამყვესო, რომელიც ეკლესიის ეზოში ნაპოვნ ლურსმანს ხელს არ ჰკიდებს ღვთისა არისო, თქვენ აბუჩად იგდებთ როდესაც მის სალოცავ და სათაყვანო წმ. ნაწილებით სავსე ხატებს, ჯვრებს და ბარძიმ ფეშხუმებს ტყემლის ტკლაპების ყუთებში აყრევინებთ უბრალო საინების მსგავსად თქვენგან გაგზავნილ საერო პირს. განა ეს თქვენის მხრით სხვის სვინდისის შეგინება არ არის მორწმუნეთათვის და ბრძოლაში გამოსაწვევი ხელთათმანის გადაგდება არ არის? ნუ თუ თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ამ გვარ პროფანაციას მორწმუნე ქართველობა აპატიებს და შეარჩენს ვისმეს?! სასტიკად სცდებით.

გელათში დანთებულია თქვენგან ისეთი ცეცხლი, რომელიც თუ ეხლავე თქვენივე ხელით არ ჩააქრეთ, სულ ჩქარა ცაში ავარდნილი გრანდიოზული ქაიკოკონა წითლად შეღებავს მთელ საქართველოს არე მარეს და ამ კოცონის გარეშემო მომუშავე ქრისტიანებს გვერდში ამოუდგებიან მაჰმადიანი ქართველებიც, რომლებიც ხმა მაღლა გაიძახიან: სოციალისტები თავიანთი სჯულის ეკლესიას რომ სპობენ, განა ჩვენ კი სიკეთეს დაგვაყრიან, ჩვენ კი არ შეგვიბილწავენ მეჩეთებს და ყორანს?

თქვენ გაგეცინებათ ამაზე, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ თქვენი გაცინება თუ რისხვა არ აჩერებს არც მტკვარსა და არც სხვა რომელიმე მდინარეს.

გული სისხლით მევსება, როდესაც ვითვალისწინებ თქვენგან ჩადენილი ფაქტის შესაძლო სავალალო შედეგებს და სამშობლოს სახელით გემუდარებით: ნუ გაამწვავებთ ამ საქმეს, ნუ გაიტანთ გელათიდან საეკლესიო ნივთების გამოტანის ამბავს ფართო საზოგადოებაში, ინებეთ უკანვე მიბრუნება მონასტერში განძეულობისა და ყველაფერი თავის თავად მიჩუმდება, თორემ, იცოდეთ, სავსებითი გამომჟღავნება ხალხში თქვენი განკარგულებისა ნავთის ტბაში ანთებული ასანთის გადასროლა იქნება.

თუ გელათის მონასტერს არ დაუბრუნდა მისი საკუთრება, ვერც მე შევძლებ გაჩუმება და იმ შემთხვევისათვის ვიტოვებ მოქმედებათა თავისუფლებას.

თქვენთვის უცნობი არ არის ჩემი წმინდა წყლის ქართლური დიდი მოთმინება და მოკრძალება, არასოდეს ამ ენითა და კილოთი არ მილაპარაკნია თქვენთან. მაგრამ ამ ქვეყნად ყველა ფერს საზღვარი აქვს: უკანასკნელი საქციელით თქვენ შარაზე დასვით ქართული ეკლესიის ყოფნა არ ყოფნის საკითხი და ასეთ შემთხვევაში ჩემი გაჩუმება იქნებოდა იმის ღალატი, ურომლისოდაც ერთ წამსაც არ მსურს სიცოცხლე.

თქვენგან უსამართლოდ უფლება აყრილი, შეურაცხყოფილი პატრიარქ-კათალიკოზი ლეონიდი.

### კათალიკოზი მთავრობის თავმჯდომარესთან.

ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ არც ამ წერილს გაუწია არავითარი ანგარიში და მაშინ, საკათალიკოზო საბჭოს და მცხეთა—თბილის—ურბნისის საეპარქიო დელეგატთა თანხლებით თვით გაემართა მთავრობის თავმჯდომარესთან;

ამ დარბაზობის დროს ადგილი ჰქონდა ასეთს დიალოგს, რომელიც ჩვენ, სტენოგრაფიული სისწორით მოგვყავს:

პატიონო ნოე ნიკოლოზის ძევ!

თქვენს წინ დგანან საქართველოს თავისუფალი და დამოუკიდებელი ეკლესიის თავი, ამ ეკლესიის მუდმივი საღმრთო კრების წევრები და ამ სამი დღის წინად დარეკული მცხეთა-ტფილის-ურბნისის საეპარქიო კრების დელეგატთა წარმომადგენლები. ამ შემადგენლობით მოვედით თქვენთან იმ მიზნით, რომ განგიმეოროთ, ჩემდა, საეკლესიო უზენაესი ორგანოს და ქუთაისის მღვდელმთავრის დაუკითხავად თქვენს რწმუნებულს გადუზიდნია გელათიდან ქუთაისის ხაზინაში, ვითომდა დასაცველად, ჯვრები, ხატები, წმ. ნაწილები და სხ. ნოემბრის 25 ტელეფონოგრამით გთხოვეთ განკარგულება ნივთების უკანვე დაბრუნებისათვის, თქვენ აღმიქვით დამაკმაყოფილებელი პასუხის მოცემა რწმუნებულის დაბრუნების შემდეგ. მაგრამ მე ასეთი არ მიმიღია, თუმცა თქვენი რწმუნებული დიდი ხანია დაბრუნდა ტფილისში. ამის გამო მე ვაცხადებ ღრმა გულისწყრომას და უსასტიკეს გაკიცხვას...

**მთავრობის თავმჯდომარე:** მე ვსწყვეტ ამ სხდომას, ამ კილოთი ლაპარაკს და გულის წყრომას მე, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, ვერ მივიღებ; ამას მე ვაუწყებ მთავრობას.

**მისი უწმინდესობა:** ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენეთ, რომ ყურთ აღარ მესმის და გთხოვთ, ხმა მაღლა მიბძანოთ.

**მთავრ. თავმჯდ.:** მე მეგონა თქვენ საქმეზე მოსალაპარაკებლად მობრძანდით და არა გულის წყრომის გამოსაცხადებლად.

**მისი უწმინდესობა:** ჩვენ სწორედ იმისთვის მოვედით, რომ დამოუკიდებელი ეკლესიის სახელით მოგვეთხოვა თქვენი რწმუნებულის მიერ გელათის მონასტრიდან წაღებული ნივთების უკანვე დაბრუნება.

**მთავრ. თავმჯდ.:** საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი და თავისუფალი არ არის, ის ჯერ სახელმწიფოსაგან გამოუყოფელია, ვერც შეიქმნება სახელმწიფოს სახელმწიფოში. რაც შეეხება საეკლესიო ნივთებს, ისინი შეადგენენ სახელმწიფოს საკუთრებას და სახელმწიფოს საქმეა, სად შეინახავს მათ... ეს უნდა იცოდეთ ვისთან მიდიხართ...

**მისი უწ.:** თქვენ უფლება გაქვთ, ციხეშიდაც ჩამსვათ, მე გესაუბრებით ჩემს საღმრთო მოვალეობას, ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა გაგვეგო, რომ საეკლესიო ნივთებს თქვენ სთვლით სახელმწიფო საკუთრებათ... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!..

**მთავრ. თავმჯდ.:** კარგად ბრძანდებოდეთ!

### რას სჩადის ახლა მთავრობა?

ყველა ამის შემდეგ მთავრობამ ქუთაისში გააგზავნა საგანგებო რწმუნებული, რომელთაც დაავალა დაუყონებლივ ჩამოიტანონ თბილისში გელათის და ჯრუჭის მონასტრის მთელი განძეულობა.

როგორც ამბობენ, მთავრობა არ კმაყოფილდება ამ ,,მცირე'' ნივთებით და ხატებით და განზრახვა აქვს ყველა ეკლესიები დააცალიეროს და თბილისში ჩამოიტანოს იქ დაცული ძვირფასეულობა.

### მომხდარი ამბავი და საზოგადოება.

როგორც კი, საზოგადოებაში ხმა გავრცელდა ამ აღმაშფოთებელი ამბავის შესახებ, კათალიკოზ-პატრიარქი ინახულეს მრავალმა საზოგადო მოღვაწეთ და აღშფოთება განუცხადეს მას მთავრობის მოქმედების გამო.

გუშინ, კათალიკოზ ლეონიდეს ინახულეს:

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის და დამფუძნებელი კრების ფრაქციის თავმჯდომარემ სპ. კედიამ, დამფუძნებელი კრების წევრმა ალ. ასათიანმა, გაზეთ ,,საქართველოს'' რედაქციის წევრებმა: რ. ინგილომ და ლ. ჯაფარიძემ და თავისი მწუხარება გამოსთქვეს, მთავრობის ესოდენ მოუფიქრებელი და შეუწყნარებელი ნაბიჯის შესახებ.

### პროფესიული ცხოვრება.

თბილისის ცენტრალურ საბჭოსა და სეკრეტარიატის აღმასრულებელი კომიტეტის შეერთებულ სხდომაზე მიიღეს პროფესიონალურ კავშირთა ხელმძღვანელობის გამოსარკვევად დანიშნულ კომისიის შემდეგი წინადადებანი: 1) გამოიმუშაონ და ცხოვრებაში გაატარონ ინსტრუქციათა ნორმალური წესდება მართველობის ორგანოების კოლექტიური ხელშეკრულება და სტატისტიკური საქმის წარმოებისა და ანგარიშის ფორმები. ამის შემუშავება ენდობა საკანონმდებლო კომისიას; 2) აუცილებელ საჭიროებად იცნონ კავშირის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია; მომავალში კავშირებში მიღებული უნდა იქმნას მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებული პირები, (ცენტრალურმა კავშირმა მუშები უნდა გაიწეროს სათანადო კავშირში; 3) მიზან შეწონილად იცნონ საწევრო გადასახადის შეტანა კავშირის ადგილობრივ წყობ რწმუნებულთა საშვალებით.; 4 პროც. აუცილებელ საჭიროებად იცნონ ყველასთვის ერთგვარი გადასახადის დაწესება. აუცილებელ საჭიროებად იცნონ აგრეთვე იმ კავშირებში, სადაც წევრთა რიცხვი 200 აღემატება, დაარსება დელეგატთა საკრებულოსი, რომელიც კავშირის ხელმძღვანელ ორგანოთ ჩაითვლება; 5) პროფესიონალურ სექციათა არსებობა მიზან შეწონილად იცნონ, როგორც ცენტრალურ სამმართველოს დამხმარე ორგანო, 6) აუცილებელ საჭიროებად იცნონ თბილისის საბჭოსთან საორგანიზაციო შრომის დამცველ და კულტურულ განმანათლებელ განყოფილებათა დაარსება, 7) საჭიროდ იცნონ პერიოდული ბეჭდვა ანგარიშებისა ტფილისის საბჭოს მოღვაწეობის შესახებ; 8) განსახილველად დაისვას საკითხი შრომის ნაყოფიერების გამოსარკვევად წარმოებათა მდგომარეობის გამოკვლევის შესახებ. (ს. დ. ს.)

### განათლების საქმე საქართველოში.

დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიის წინადადებით განათლების მინისტრის ამხანაგმა ბ-ნმა ცინცაძემ გააკეთა კომისიაში მოხსენება რესპუბლიკის სასწავლებლების მდგომარეობის შესახებ. კომისიამ ამ საკითხზე მსჯელობას მოანდომა სამი სხდომა და გამოიტანა შემდეგი საერთო ხასიათის დადგენილებანი: მოისმინა რა მოხსენება განათლების მინისტრის ამხანაგისა სახალხო განათლების უწყების მოღვაწეობის შესახებ, კომისია აღიარებს; 1) განაპირა კუთხეებს (სვანეთის, სამუსლიმანო საქართველოს და სხვ. ჩამორჩენილ ადგილებს), სადაც ობიექტურ პირობების გამო სახალხო განათლების საქმე დაბრკოლებულია, უნდა მიექცეს უპირველესი ყურადღება დაწყებით სკოლების გახსნის მხრით; საჭიროა ამ მიზნით მასწავლებელთა სათანადო კონტინგენტის შეკრება და მათი უზრუნველყოფა გადიდებული ჯამაგირით. ამასთანავე შემდეგშიაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დაწყებითი სკოლების საქმეს აღმოსავლეთ საქართველოში. 2) საჭიროა ხელის შეწყობა უმაღლეს დაწყებით სკოლების საქმისათვის ყველგან; საჭიროა გაეწიოს დახმარება ხაზინიდან შეძლებისამებრ იმ უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებს, რომლებსაც ხაზინა არ ინახავს. საჭიროა მათი გამრავლება საქართველოს ყველა ადგილებში (რადიუსი 3-4 ვერსი). სასტატო სემინარიების რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოში უნდა გადიდდეს. სასურველია გადაკეთდეს სემინარიებათ ზოგიერთი გიმნაზია აღმოსავლეთ საქართველოში. 4) უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლების უზრუნველყოფას სასწავლო ნივთებით (რუქები და სხვ.), და მოწყობილებით (კაბინეტები, კოლექციები და სხვ.), პროვინციაში, სადაც ეს სკოლები ახლადაა დაარსებული. საჭიროა აგრეთვე მიეცეს მათ საამშენებლო მასალა და მიწა, 5) ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მიმართ კვლავაც წარმოებულ უნდა იყოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მათი ეროვნულ-კულტურულ უფლებების დაცვით, 6) კომისია კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ უწყებამ შესაფერი ენერგია გამოიჩინა ხელოვნების დარგების მოწესრიგების საქმეში და ისინი სახელმწიფოს გარშემო შემოიკრიბა. საჭიროა ამ დარგებში მომუშავეთა შემოკრებაც ხელოვნების არსებულ ორგანოების გარშემო. 7) კომისია სურვილს გამოსთქვამს მოისმინოს სრული მოხსენება სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, 8) კომისია აღიარებს, რომ მასწავლებლები არ არიან უზრუნველყოფილნი არც ნივთიერად, რაც საერთო პირობებს მიეწერება; მაგრამ ისინი არ არიან უზრუნველყოფილი არც მომარაგებით, თუნდაც იმ მაშტაბით, რომელიც მიღებულია სახელმწიფოს ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის. კომისია იმედს გამოსთქვამს, რომ ამ მხრივ უწყების მიერ მიღებულ იქნება ყოველნაირი ზომა, რათა ეს ნაკლი ასე მწვავე განათლების საქმისათვის გამოსწორებულ იქნეს. საერთოდ კომისია კმაყოფილებას გამოსთქვამს მოხსენების გამო და იმედოვნებს, რომ შემდეგშიაც უწყების მთელი ძალ ღონე მიმართული იქნება იმ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, რომლებიც წინ ეღობება სახალხო განათლების საქმის სათანადო სიმაღლეზე აყვანას.

(ს. დ. ს.).

### პარტიული ცხოვრება.

**ეროვნულ დემოკრატ. მოსწავლე ახალგაზრდათა სრულიად საქართველოს ორგანიზაციების მე-4 ე კონფერენცია.** მოწვეულია 1920 წ. დეკ. 19-ს.

განსახილველი კითხვები:

ა. მომენტი.

ბ. მოსწავლე ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტის მოხსენება კომიტეტის მოქმედების შესახებ.

გ. მოხსენებანი ადგილობრივი ორგანიზაციებიდან.

დ. ჩვენი პარტია.

1). პროგრამული მხარე:

ა. პოლიტიკური ნაწილი;

ბ. სოციალ ეკონომიური ნაწილი.

2). ტაქტიკა.

3). პარტიული მუშაობა.

ა. მთავარი კომიტეტი.

ბ. დამფუძნებელი კრების ფრაქცია.

გ. პარტიული პრესა.

დ. გეგმა მომავალი პარტიული მუშაობისა

ე. არჩევნები.

ვ. ზოგადი ხასიათის მოხსენებანი.

წარმომადგენლობის წესი:

1. ახალგაზრდათა მთავარი და სტუდენტთა კომიტეტების სრული შემადგენლობა.

2. ყველა მოსწავლე ახალგაზრდათა ორგანიზაციებიდან ყოველს 50 წევრზე 1 დელეგატი.

3. სადაც 50-ზე ნაკლებია, შეუძლია იყოლიოს კონფერენციაზე 1 დელეგატი.

ყველა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან წერილობით წარმოადგინონ მოხსენება ორგანიზაციული მუშაობის შესახებ და პროგრამულ კითხვებზე არა უგვიანეს 15 დეკემბრისა.

5. დელეგატს უზრუნველ ყოფს ადგილობრივი ორგანიზაცია.

ერ. დემ. პარტ. ახალგაზ. მთავარი და სახელ უნივ. სტ. კომიტეტები.

—

ორშაბათს დეკემბრის 13-ს საღამოს 7 ნახ. საათზე გაზ. ,,საქართველოს''-ს რედაქციის ბინაზე დანიშნულია ეროვ. დემოკრ. სტუდენტთა კრება.

დღის წესრიგი:

1. მომენტი.

2. ალ. ასათიანის მოხსენება.

3. კომიტეტის მოხსენება გასული წლის მუშაობის შესახებ.

4. მოსწ. ახ-თა მე-4 კონფერენციისათვის დელეგატების არჩევა.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

კრება შესდგება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

სტუდენტთა კომიტეტი.

### სამხატვრო ქრონიკა.

—

**სახალხო სახლში.**

ზუბალაშვილის სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ წრემ დაადგინა: 12 ამა დეკემბერს გამართოს გვარდიის დღე, წარმოდგენილი იქნება 1 მოქმედება ,,მახვერპლიდან'' და ,,რაც გინახავს ვეღარ ნახავ.''

მხოლოდ 13-ს გადიდებულ ფასებით წარმოდგენილი იქნება ,,ღალატი'', ფრონტის დამხმარე კომიტეტის ფონდის გასაძლიერებლად.

გამგეობამ გადასწყვიტა ახლო მომავალში გადუხადოს იუბილე ქ-ნ სოფიო რომანიშვილ-დგებუაძეს 20 წლის სახალხო სცენაზე მოღვაწეობის შესრულების გამო.

—

პარასკევს, 19 დეკემბერს ,,აბესალომ და ეთერი''

### წერილი რედ. მიმართ.

პასუხი ბ-ნ შალვა ტატიშვილს.

სიღნაღის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ყოფილმა თავმჯდომარემ შალვა ტატიშვილმა გაზეთ ,,საქართველოს'' № 151 ში დაბეჭდა წერილი სავსე ცილის წამებით ჩემს წინააღმდეგ.

ასეთ ცილის წამებაზე ბეჭდვითი სიტყვით, ბ-ნ შალვა ტატიშვილს პასუხის გებაში ვაძლევ სისხლის სამართლის წესით.

ხოლო რაც შეეხება ჩემი, სამ ახურიდან გასვლას, საჭიროდ ვსცნობ განვაცხადო, რომ: პირადათ მე დათხოვნილი ვარ სამსახურიდან სენატის მიერ მიმდინარე წლის 24 აპრილს თანახმად ჩემი თხოვნისა და საზოგადოება არც ისე შეუგნებულია, რომ არ იცოდეს წესი მოსამართლის პასუხის გებაში მიცემისა, რაც შეადგენს კომპეტენციას არა ყრილობის თავმჯდომარისას, არამედ სენატისას—ასეთი უფლება იუსტიციის მინისტრსაც კი არ აქვს და ბ-ნ შალვა ტატიშვილს როგორ ექნება.

პ. ვლ. მოსულიშვილი.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

დოქტორი

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ფილტვების აპერაცია—პოევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე და საღ. 6—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 3314

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცვრის სასულე—მილის ავადმყოფობას ვექიმობ ,,ნეიმანის და ვესსელის'' მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას ,,ზოოტექნიაზე'' (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2 თვ.

ექიმი

**ა. ს. ჯავრიშვილი**

სიფილისი (606—914 შეშხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3305 თვ.

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების მიღება,

ექიმი

**მ. ო. ზანდუკელი**

შინაგან და ნერვების ავადმყ. ელექტრონით წამლობა.

ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასიას ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.

№ 3207.

**თვალების ავადმყოფების**

ექიმი

**მ. გოლშტეინი**

სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი

**რეზო მაჩაბელი**

კანისა და ვენერიული სნეულებანი, წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11— ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 32

ქუთაისი

ექიმი

ისაკ იაკობის-ძე

**მინოშვილი**

ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.

ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილის № 3208.

ექიმი

**დ. ი. ჯაფარიძე**

შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.

ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.

ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ექიმი

**ე. ი. კალანდაძე.**

ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიული სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 914) და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. თხე ზემმელის აფთიაქთან.

ტელეფ. 18—95. 3228

**სამკურნალო**

ელექტრონის რენტგენის და სინათლის

**მიხეილ გედევანიშვილის**

დღისით 12—2 საათ. საღ 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 2 ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თვ.

### მატარებელთა მოსვლა

ფოსტის მატარებელი № 3.

თბილისიდან ბათომში—დილის 10 53. წ.

მატარებ. № 3. № 7.

თბილისიდან ფოთში საღამ 7 ს. 14 წ.

მატარებ. № 21.

თბილისიდან ბათომში, საღ. გად. 10 37 წ.

მატარებ. № 19.

თბილისიდან ხაშურში დილის 3 ს. 20 წ.

მატარებ. № 140.

თბილისიდან სალოღში დილის 9

მატარებ. № 390.

თბილისიდან სანაინში დილის 7 45 წ.

მატარ. № 4.

თბილისიდან კახეთში დილის 8 30 წ.

**თბილისში მოდ ს.**

მატარებ. № 4.

ბათომიდან თბილისისკენ გამოდის საღ. 10 ს. 27 წ.

თბილისში მოდის საღ. 6 ს. 46 წ.

მატარებელი № 7.

ფოთიდან თბილისისკენ გამოდის მის 12 ს. 2

თბილისში მოდის დღის 2 ს. 13 წ.

მატარებელი № 22.

ბათომიდან თბილისისკენ გადის მის 12 ს. 58 წ.

მატარებელი № 19.

ხაშურიდან თბილისისკენ მოდის მის 2 ს. 16 წ.

თბილისში მოდის დილის 8 ს. 2

მატარებ. № 141.

სალოღლიდან თბილისისკენ გადის დილის 9 ს 10 წ.

თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 36 წ.

მატარებ. № 416.

სანაინიდან თბილისისკენ გადის დილის 8

თბილისში მოდის დღის 4 ს. 53 წ.

მატარებ. № 3.

კახეთიდან თბილისში გადის ს. 2 წ.

**მაღაზიაში**

ამხ. **ე. ცინდელი**

სოლოლაკი

დანიშნულია

**იაფი საშობაო ვაჭრობა!!**

გაიყიდება შემდეგი ქსოვილები: შევიოტი, გაბარდინი, მაუდი, ტრიკო, დრაპი, შერსტინკი, სათეთრეულო ქსოვილები, ფლანელი, სატინა და აბრეშუმეულობა, შიფონი, მ...ალინი, ტაფტა, ბენგალინი, შავი აბრეშუმი, შავი მაუდი, ლიფები და ქალის სათბობი.

ნაჭრები თავისივე ფასებში.